www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 13 ივლისი, 2012 წელი. | №3063 (156) | ფასი 50 თეთრი

საიუბილეო "საბას" ვარსკვლავთა ჯახი

ია ვეკუა

ბ.ბურჭულაძის დარჩილ ბერიძის ფოტო

რეზო ჭეიშვილი და მამუკა ხაზარაძე

2012 წლის "საბას" დაჯილდოების ცერემონიალი ფილმ "ვარსკვლავური ომების" საუნდტრეკით გაიხსნა, რამდენიმე წუთში კი რუსთაველის თეატრის დიდი სცენაზე თანამედროვე ქართული ლიტერატურის ვარსკვლავთა ჯახი დაიწყო. საიუბილეო "საბამ" ცხრა ნომინაციის ათი გამარჯვებული გამოავლინა, ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის კი საპატიო ჯილდო მწერალ რეზო ჭეიშვილს გადასცეს.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

"ელიტა ბურჯის" სქემის გაგრძელება და "მაესტროს" დამფუძნებელთა განცხადება

ტელეკომპანია "მაესტროს" დამფუძნებლებმა, ანტენების დაყადაღებასთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადება გაავრცელეს, რომლის ადრესატიც მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსია.

განცხადებაში ნათქვამია, რომ გავრცელების არეალის გაფართოების მიზნით, ტელეკომპანია «მაესტრომ», 2012 წლის 3 ივლისს, პიარკამპანია დაიწყო, სახელწოდებით - "მაესტრო ყველა ოჯახში", რომლის ფარგლებში, ზაფხულში, რეგიონების მასშტაბით, სატელიტური თეფშების მონტაჟი იგეგმებოდა. მათივე განცხადებით, პირველი სიმბოლური თეფში სოფელ ხანდაკში 3 ივლისს დამონტაჟდა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

რუსეთის დუმამ ინტერნეტცენზურის კანონი მიიღო

ივა შილაკაძე

რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ ოთხშაბათს საღამოს სასწრაფო წესით მიიღო კანონპროექტი "ბავშვების დაცვის შესახებ იმ ინფორმაციისგან, რომელიც ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას და განვითარებას". რეალურად კი ეს არის ინტერნეტში ცენზურის შემოღების მცდელობა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ალბანური მოთელვა "ვლაზენთან" დაპირისპირებამდე

მიხეილ აბაიშვილი

ალბანური ფეხბურთი ციდან ვარსკვლავებს ვერასოდეს წყვეტდა და განსაკუთრებით საკლუბო დონეზე ამ ქვეყნის წარმომადგენლების წინააღმდეგობის დაძლევა გადაუჭრელ ამოცანათა კატეგორიას არასდროს განეკუთვნებოდა. თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როცა ალბანელებს კონკრეტულად ქართველთათვის არა მხოლოდ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწევიათ, არამედ გამოუთიშავთ კიდევ ევროტურნირებიდან.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

გიორგი ბუხაიძის ფოტო

1 აშშ დოლარი	1.6489⇓
1 ევრო	2.0311⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5627⇓
1 თურქული ლირა	0.9077⇓
100 რუსული რუბლი	5.0004⇓

თბილისი	31°C - 21°C
ქუთაისი	31°C - 18°C
თელავი	31°C - 18°C
ზუგდიდი	30°C - 18°C
ბათუმი	27°C - 18°C

ნავთობი	2.76	+0.04	+1.43%
გაზი	2.80	+0.07	+2.35%
ოქრო	1,577.40	-2.40	-0.15%
ხორბალი	815.25	-6.00	-0.74%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >>

ლონდონი 2012 - საფეხბურთო ტურნირის მთავარი ვარსკვლავები

ოლიმპიურ თამაშებზე საფეხბურთო ტურნირი ყოველთვის არ გამოირჩევა ვარსკვლავთა სიმრავლით. ამ მხრივ პეკინის ოლიმპიური თამაშები გამონაკლისად იქცა. არანაკლებ ვარსკვლავური იქნება ლონდონის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირი.

გავენცოთ რამდენიმე ვარსკვლავს, რომლებიც 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს დაამშვენებენ.

რაიან გიგზი (დიდი ბრიტანეთი)

ოლიმპიური თამაშების ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი იქნება უელსელი რაიან გიგზი, რომელიც გაერთიანებული ბრიტანეთის ნაკრებში ითამაშებს. ნოემბერში რაიანს 39 წელი შეუსრულდება.

ბრიტანეთის ნაკრებში მხოლოდ ინგლისელი და უელსელი ფეხბურთელები იქნებიან. შოტლანდიისა და ჩრდილო ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციებმა გაერთიანებულ გუნდში თამაშზე უარი თქვეს. ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლების არყოფნა ბრიტანეთის ნაკრებს მაინცდამაინც არ დაასუსტებს. სტიუარტ პირსის გუნდში ვარსკვლავები მრავლად იქნებიან. მათ შორის მთავარი, ცხადია, ბრიტანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა რაიან გიგზია.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

ფიზიკური დაპირისპირება კარალეთში

გორის რაიონის სოფელ კარალეთში "ქართული ოცნების" წარმომადგენლების მოსახლეობასთან შეხვედრისას ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. სოფელში დევნილებთან შესახვედრად კახი კალაძე, გიორგი ვოლსკი, სოზარ სუბარი და კოალიციის სხვა წარმომადგენლები ჩავიდნენ. იქვე იმყოფებოდა გიორგი ყარყარაშვილიც. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, მოქალაქეების ერთმა ჯგუფმა "ქართული ოცნების" აქტივისტებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. "ქართული ოცნების" აქტივისტებს ქვები დაუშინეს, რის დროსაც რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

ინციდენტზე პასუხისმგებლობას პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ლიდერი მანანა კობახიძე ხელისუფლებას აკისრებს. იგი მიმართავს შს მინისტრ ბაჩო ახალაიას, დაუყოვნებლივ გამოიძიონ გუშინდელი ფაქტი და იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენონ, ვინც ინციდენტისას ამოიცნეს.

კობახიძის ცნობით, დაშავებულები არიან როგორც პრესის წარმომადგენლები, ასევე კოალიცია "ქართული ოცნების" მხარდამჭერები. მისი თქმით, ფიზიკური დაპირისპირებისას დაზიანდა კახი კალაძისა და მანუჩარ მუმლაშვილის ავტომანქანებიც.

გუშინვე სოფელ კარალეთში მომხდარ ინციდენტზე განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომაც. მათი ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება და პოლიცია მონაწილე პირების იდეტინფიცირებას ცდილობს.

ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ყველას, გამოიჩინონ მაქსიმალური თავშეკავება. "ნებისმიერი მოქალაქის ქმედება მოქცეული უნდა იყოს კანონიერების ფარგლებში," - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

სპორტის სამინისტრო პოლიტიკური ნიშნით სპორტსმენების შევიწროებას უარყოფს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო პოლიტიკური ნიშნით სპორტსმენების შევიწროების ფაქტებს უარყოფს. როგორც სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, არც ერთი სპორტსმენის უფლებები პოლიტიკური ნიშნით არასდროს შელახულა.

"მიგვაჩნია, რომ ყველა სპორტსმენი ამავე დროს თავისი ქვეყნის მოქალაქეა და შესაბამისად, სრული უფლება აქვს, გამოხატავდეს თავის მოქალაქეობრივ ან პოლიტიკურ შეხედულებას. ამ მხრივ სამინისტროს არასოდეს შეუზღუდავს არც ერთი სპორტსმენი, არც ერთი მათგანის მიმართ არ გატარებულა არანაირი საჯარიმო სანქცია მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო," - ნათქვამია განცხადებაში.

სამინისტროს ინფორმაციით, უფლებების შელახვის შესახებ სპორტსმენთა ჯგუფის მიერ გაკეთებული განცხადების ყველა ხელმომწერი კონკრეტული პოლიტიკური კოალიციის წევრი და მხარდამჭერია, შესაბამისად, სამინისტროში მათ განცხადებას ამ კოალიციის საარჩევნო კამპანიის ნაწილად მიიჩნევენ.

სამინისტროშივე აღნიშნავენ, რომ მწვრთნელის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული სპორტსმენები ხშირად ნაკრების სანვრთნელ შეკრებასაც არ ესწრებიან.

სპორტსმენების პოლიტიკური ნიშნით დევნისა და ზეწოლის შესახებ საზოგადოებრივმა მოძრაობამ "ქართულმა ოცნებამ" საგანგებო მიმართვა შეიმუშავა, რომელიც გუშინწინ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაერო-ს, ევროკავშირს, ასევე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და სხვა სპორტულ ორგანიზაციებს გადაეგზავნათ.

სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

ლიცენზირებული რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი"

გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.

მომსახურების საფასური 17 ლარიდან.

თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ.ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

"ელიტა ბურჯის" სქემის გაგრძელება და "მაესტროს" დამფუძნებელთა განცხადება

პირველი გვერდიდან

11 ივლისს მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს ტელეკომპანია "მაესტროს" მიერ შემოტანილი ანტენების დაყადაღების მოთხოვნით მიმართა. სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა, ზეპირი მოსმენის გარეშე, 11 ივლისსვე განიხილა და დააკმაყოფილა.

მაესტრო დამოუკიდებელი კერძო კომპანიაა, რომლის ერთადერთი ინტერესი განვითარება და აუდიტორიის გაზრდაა. სატელიტური თეფშების მონტაჟის გადაწყვეტილებაც ტელეკომპანიის ბიზნესგეგმაა და მისი შეფერხებით, მთავარი პროკურატურა და სასამართლო ხელს უშლის "მაესტროს", როგორც თავისუფალი მედიასაშუალების ზრდა-განვითარებას და, შესაბამისად, ზღუდავს საზოგადოების უფლებას, მიიღოს მრავალფეროვანი ინფორმაცია," - ნათქვამია «მაესტროს» დამფუძნებელთა განცხადებაში, რომლის საპასუხოდაც მთავარმა პროკურატურამ შემხვედრი განცხადება გაავრცელა.

გამოძიებას აქვს საკმარისი მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც, შპს "მაესტრომ" პოლიტიკურ კოალიცია "ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებული კომპანიების - შპს "ელიტა ბურჯის" წარმომადგენელთა მითითებით, თვალთმაქცური გარიგების გზით, საქართველოში შემოიტანა ათასობით სატელიტური ანტენა, რომელიც უნდა დარიგებულიყო "ქართული ოცნების" სასარგებლოდ, ამომრჩეველთა მოსყიდვის მიზნით, შპს "გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" მიერ უკვე აპრობირებული სქემით. მოპოვებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნებისთვის" სატელიტური ანტენების იმპორტს თვალთმაქცური გარიგებების მეშვეობით ახორციელებს შპს "მაესტრო", რომელმაც ჩაანაცვლა შპს "ელიტა ბურჯი" და სხვა კომპანიები, - ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში, რომლის მიხედვითაც, გამოძიების ხელთ არსებული ინფორმაციით, სატელიტური ანტენების რეალური მესაკუთრის, ანუ "ელიტა ბურჯის" და "გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" დაფარვის მიზნით, შპს "ელიტა ბურჯი" მზად იყო, ანტენების ეტიკეტების ხელახლა დასამზადებლად და შესაფუთად გადაეხადა რამდენიმე ასეული ათასი ამერიკული დოლარი. პროკურატურის მტკიცებით, "მაესტროს" მიმწოდებელი არის იგივე თურქული კომპანია, რომელმაც ანტენები შპს "გლობალ კონტაქტ კონსალტინგს" მიაწოდა.

ასევე დასტურდება, რომ განბაჟების პროცესს ახორციელებდა შპს "ელიტა ბურჯის" რამდენიმე წარმომადგენელი და არა შპს "მაესტროს" შესაბამისი პირი, რაც დამატებით ადასტურებს გარიგებების თვალთმაქცობას. ნათელია, რომ მთელ ამ პროცესს ხელმძღვანელობდა არა შპს "მაესტრო", არამედ შპს "ელიტა ბურჯი". სწორედ ამიტომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული პროცედურის დაცვით, საქართველოს პროკურატურამ დააყადაღა სატელიტური ანტენები თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე," - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ტელეკომპანია "მაესტროს" გენერალურმა დირექტორმა მამუკა ღლონტმა პროკურატურის განცხადება "აბსოლუტურ სისულელედ" შეაფასა. იგი პროკურატურას არხის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოქვეყნებას სთხოვს. **"მეცოდება პროკურატურა, რომელიც ასეთ დავალებებს ასრულებს. მაინტერესებს, მტკიცებულება აქვთ თუ სიზმარი ნახეს? თუ აქვთ, სად არის? - დადონ. სანამ მტკიცებულება არ დაიდება, ამ უსუსურობაზე და ფიასკოზე, რასაც ახლა პროკურატურა განიცდის, კომენტარს ვერ გავაკეთებ,"** - განაცხადა მამუკა ღლონტმა.

"ქართუ ჯგუფსა" და "პროგრეს ბანკს" იძულებითი მმართველი სასამართლომ დაუნიშნა

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე "ქართუ ჯგუფისა" და "პროგრეს ბანკის" აქციების მმართველად ვლადიმერ უგულავა დანიშნა.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ "ქართუ ჯგუფისა" და "პროგრეს ბანკის" აქციების იძულებითი მართვის რეჟიმში გადაყვანასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ორი დღის წინ მიმართა. საქმე ეხება ბიძინა ივანიშვილის ქონებას, რომელიც კონტროლის პალატის მოთხოვნით და სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილს უკანონო პოლიტიკური საქმიანობის გამო ჩამოერთვა და აუქციონზე უნდა გაყიდულიყო, თუმცა, კანონით დადგენილ ვადაში, მყიდველი არ გამოუჩნდა.

"აღსრულებას დაქვემდებარებული ქონების მმართველად, პროფესიული და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, დაინიშნა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი ვლადიმერ უგულავა," - ნათქვამია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

ამავე ინფორმაციის თანახმად, გასულ წლებში, ვლადიმერ უგულავა უშუალოდ მონაწილეობდა არაერთი წარმატებული ფინანსური ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესში, იყო სს "ალდაგი ბისიაი"-ს საზედამხედველო საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობდა სს "ტაოპრივატბანკს". ვლადიმერ უგულავას ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლუმბიის უნივერსიტეტში მიღებული აქვს ეკონომიკური პოლიტიკის მართვის მაგისტრის ხარისხი,

არსრულები ეროვნული ბიუროს მონაცემებით, ვლადიმერ უგულავა 1998 წლამდე მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროში. 1998-1999 წლებში სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, ნიუ-იორკში, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ეკონომიკის მართვის მაგისტრის ხარისხი. 1999 წელს მუშაობდა მსოფლიო ბანკის სათაო ოფისში, კორეის დეპარტამენტში, ექსპერტად. 2000 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მუშაობდა პრეზიდენტის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის სამსახურის უფროსად. 2001-2002 წლებში იყო საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორის მოადგილე, ხოლო 2002 წლიდან ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორი და ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მდივანი. ამავე დროს, ვლადიმერი უგულავა იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი.

"ქართული ოცნების" ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ არჩილ კბილაშვილის შეფასებით, "ქართუ ჯგუფი", ფაქტობრივად, ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა.

"ვლადიმერ უგულავას შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ, წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის ეს ადამიანი და დიდი მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ის სახელმწიფოს წარმომადგენელია. ამიტომ შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული კომპანიები სახელმწიფოს დაქვემდებარებაში, კერძოდ კი ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა, რაც დიდი უკანონობაა. რაც შეეხება უცხოელ ინვესტორთა ადვოკატების პოზიციას, ისინი საკუთარ პოზიციებს რამდენიმე დღეში გაახმოვანებენ", - აცხადებს არჩილ კბილაშვილი.

"ქართუ ჯგუფისა" და "პროგრეს ბანკის" აქციების მმართველად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს მიერ ვლადიმერ უგულავას დანიშვნას, თავად "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების ძალადობის პოლიტიკის გაგრძელებად აფასებს. კოალიციის ლიდერის თქმით, ჯერ "ქართუ ბანკის" საინკასაციო მანქანა დააპატიმრეს, შემდეგ განხორციელდა ჯგუფური თაღლითობა, გამოიცა კანონი, რომელიც მხოლოდ "ქართუ ბანკზე" ვრცელდებოდა და ბანკიდან ამოღებული ქონება მიაქციეს სახელმწიფო საკუთრებაში.

"ჯარიმებს, რომელიც სასამართლომ დამააკისრა, არავითარი იურიდიული საფუძველი არ აქვს," - აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

მკვლელობა ოკუპირებულ რეგიონში

ნათია მსხილაძე

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსი როლანდ ჩიტაევი, რომელიც წუხელ საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს, მოკლული იპოვეს.

ჩიტაევის ცხედარს სოფელ ვანათში, ერთ-ერთი დანგრეული სახლის ეზოში მიაგნეს. მას სხეულზე ძლიერი ცემის კვალი აღენიშნება და ორი ტყვია აქვს მოხვედრილი.

ადგილობრივი მაღალჩინოსნების განცხადებით, პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის გატაცება და მკვლელობა მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება.

ჩიტაევი ბოლო პერიოდში დე ფაქტო გენპროკურორის ყოფილი მოადგილის ელდარ კოკოევისა და დე ფაქტო სახელმწიფო დაცვის თანამშრომელ ირბეგ ბეტეევის საქმეებს იძიებდა. ამ უკანასკნელის ავტომობილის დაცხრილვისას, 3 ივლისს, სამი ადამიანი დაიჭრა.

დღის მეორე ნახევარში ოსურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია ეჭვმიტანილთა დაკავების შესახებ. დე ფაქტო გენერალურმა პროკურორმა მერაბ ჩიგოევმა განაცხადა, რომ **დაკავებული პირები აღმოჩნდნენ ძალოვანი და სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლები: ე.წ. სახელმწიფო დაცვის სამსახურის მოქმედი თანამშრომელი არტურ აგაევი და გენპროკურატურის ყოფილი თანამშრომელი რუსლან გაბარაევი, რომელიც სამსახურიდან გასული წლის შემოდგომაზე დაითხოვეს. ორივე ნასვამები იყვნენ. დაკითხვაზე ჩიტაევის მკვლელობა აღიარეს, თუმცა მიზეზი გარკვევით ვერ ახსენს. ფაქტია, რომ მკვლელობის შემკვეთები და შემსრულებლები ისინი არიან, ვისაც რეგიონში წესრიგის დამყარება არ სურს.**

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"ქართული ოცნება" მაჟორიტარების დასახელებას ერთ კვირაში დაასრულებს

მაგდა ლეკიაშვილი

"ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები გუშინ წარადგინა. ადგილები საქართველოს სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში შემდეგნაირად გადანაწილდა: დეპუტატობისთვის სიღნაღში გელა გელაშვილი იბრძოლებს, დედოფლისწყაროში - ალექსანდრე თამაზაშვილი, ლაგოდეხში - ლუკა კურტანიძე, ყვარელში - დავით ქევხიშვილი, ახმეტაში - ზურაბ ზვიადაური, ბორჯომში - გედევან ფოფხაძე, ახალციხეში - გურამ კუტალაძე, ადიგენში - ბიძინა გუჯაბიძე, ასპინძაში - თემურ მაისურაძე, ონში - თამაზ (გია) ჯაფარიძე, მესტიაში - ვიქტორ ჯაფარიძე, თერჯოლაში - ომარ ნიშნიანიძე, საჩხერეში - მანანა კობახიძე, ვანში - გოდერძი ტყეშელაშვილი, წყალტუბოში - პაატა ზაქარეიშვილი, ხობში - გიგა ბუკია, ჩხოროწყუში - ლევან იზორია, ხოლო ბათუმში - მურმან დუმბაძე. ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში წარმატებებს მოიპოვებენ.

"ქართული ოცნების" ლიდერის თქმით, ჩხოროწყუში მაჟორიტარად დასახელებული ლევან იზორიას დამსახურებაა პოლიციის რეფორმის განხორციელება, რომელსაც ხელისუფლება საკუთარ თავზე მიიწერს. ივანიშვილის თქმით, პატრულის იდეა ლევან იზორიას ეკუთვნოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა იზორია შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

"მას შემდეგ, რაც ლევანი გარკვეული მიზეზებით იქიდან წამოვიდა, მივიღეთ პოლიტიზებული და ერთი ადამიანის იდეოლოგიაზე მორგებული პოლიცია. შესაბამისად, ამ პროექტის წარმატება შეიძლება, მხოლოდ ლევან იზორიას ჩაეთვალოს," - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

კოალიციის ლიდერი ამბობს, რომ მაჟორიტარობის კანდიდატები ერთპიროვნულად არ დაუსახელებია. მათი შერჩევა დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა და ამ პროცესში პარტიის თითქმის ყველა წევრი მონაწილეობდა. თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს ივანიშვილი მომავალი კვირის დასაწყისში წარადგენს. ჟურნალისტების კითხვას, თუ რატომ ჭარბობენ მაჟორიტარ კანდიდატთა შორის ივანიშვილის პარტიის "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრები, კოალიციის ლიდერმა უპასუხა, რომ ეს საკითხი თავიდანვეა შეთანხმებული და არანაკლებ 55 პროცენტისა სწორედ ამ პარტიიდან უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგრამ თუ სხვა პარტიებსაც ეყოლებათ სათანადო წარმომადგენლები, ივანიშვილი არც მათ დასახელებაზე იტყვის უარს.

გასულ თვეში კოალიციის წევრი და "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი მაჟორიტარობის კანდიდატების გამოსავლენად ჩატარებული კვლევის შედეგებზე საუბრობდა. "ოცნების" კვლევის შედეგები ასე გამოიყურება: სოზარ სუბარი - სამგორში, ლევან ბერძენიშვილი - ვაკეში, ეკა ბესელია - ნაძალადევში, ვახტანგ ხმალაძე - მთაწმინდაზე, დავით ბერძენიშვილი - დიდუბეში, ვიქტორ დოლიძე - ჩოღურეთში, გია ცაგარეიშვილი და შოთა ხაბარელი - კრწანისში, თინა ხიდაშელი - საბურთალოზე, ისანსა და გლდანში. თუმცა, როგორც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, ბერძენიშვილმა კანდიდატთა დასახელება იჩქარა. კოალიციის ლიდერის თქმით, მის მიერ დასახელებულ კანდიდატთა სია იდენტური არ იქნება.

"ძალიან პატარა კითხვები დაგვრჩა და, პრინციპში, გადაწყვეტილება მიღებული გვაქვს, 4-5 მაჟორიტარის გარდა. მომდევნო კვირის დასაწყისში წარმოგიდგენთ ყველა მაჟორიტარს თბილისში და დარჩენილ რეგიონებშიც," - ამბობს ივანიშვილი.

"ქათული ოცნების" ლიდერის თქმით, კოალიციაში მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევისას მათი წესიერება და წარსული გაითვალისწინეს. როგორც ივანიშვილი შენიშნავს, მისი გუნდის წევრების წარსულის შესახებ კითხვის ნიშნები არ უნდა არსებობდეს. იგი იმასაც დასძენს, რომ კოალიციის წარმომადგენლებს აბსოლუტურად სუფთა წარსული აქვთ. შეიძლება, ერთიორი კანდიდატის მიმართ იყოს კითხვები, მაგრამ მათზე ძალიან ღირსეული პასუხებიც არსებობს. "ქართული ოცნების" ლიდერის თქმით, მხოლოდ ამ კრიტერიუმების შემდეგ მოდის პროფესიონალიზმი, პოლიტიკური გამოცდილება, მათდამი ხალხის დამოკიდებულება და ა.შ.

რაც შეეხება ჟურნალისტების კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებენ სპორტსმენები და პოლიტიკური გამოცდილების არმქონე პირები პოლიტიკურ მოღვაწეობას, ივანიშვილი ამბობს, რომ პოლიტიკური გამოცდილების არქონა გარკვეულ პრობლემებს ნამდვილად ქმნის. ეს პრობლემა, როგორც იგი ამბობს, თავადაც ჰქონდა პოლიტიკაში მოსვლისას, თუმცა ვითარება შეიცვალა და პოლიტიკურ პროცესებში სრულად გაერკვა.

ძვირი სიამოვნება

სოფიო თოდუა

პრინციპულად წინააღმდეგი ვარ, როდესაც ჟურნალისტობა რაღაცით გამორჩეული პროფესია ჰგონიათ და ამის გამო თავად ჟურნალისტები ჩემთვის აუხსნელ უპირატესობაზე მსჯელობენ. მაგრამ ახლა მეც მედიის პრივილეგიაზე უნდა ვილაპარაკო, რადგან საქმე საჯარო ინფორმაციის მოპოვებას ეხება. სამწუხაროდ, საჯარო ინფორმაციის მოპოვება სახელისუფლებო სტრუქტურებიდან იმდენად გაძნელდა, ხშირად აღარც ღირს თავის შეწუხება. ის უფრო მიკვირს, აქამდე რატომ შემორჩა "საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს" მუხლები, რომლებიც საჯარო ინფორმაციის გაცემის წესსა და ვადებს აზუსტებს. ბოლო დროს არ მაგონდება არც ერთი შემთხვევა, რომ ჩემ მიერ მოთხოვნილი განაცხადი ან დროზე მოეწოდებინათ, ან სრულად გადმოეცათ. სამწუხაროდ, არც საჩივრებსა და არც სასამართლო პროცესებს არ მოჰყვება ხოლმე არანაირი შედეგი, ამიტომ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებას მეც აღარ ვაპირებ.

ინფორმაციის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი წყარო ჟურნალისტებისთვის ასევე გახლავთ საჯარო რეესტრი, მასში შემავალი სტრუქტურებით. აქ, ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგადაა - ონლაინ რეჟიმშიც კი არის შესაძლებელი ინფორმაციის მოპოვება. მაგრამ საკმარისია ცოტა მეტის დაზუსტება მოგინდეს, რაც ნებისმიერი მასალის მოსამზადებლად, უბრალოდ, აუცილებელია, მიხვდები, რომ ერთი სარკმლის პრინციპი მედიის წარმომადგენლებისთვის დიდი ვერაფერი შეღავათია.

მაგალითად, გჭირდება ყველა დოკუმენტაცია (რაც ონლაინ რეჟიმში, რასაკვირველია, არ მოიპოვება), რომელიც ერთ კონკრეტულ იურიდიულ პირს ეხება. ამ დროს იძულებული ხდები, ყოველი ამობეჭდილი თაბახის ფურცლისთვის 50 თეთრი გადაიხადო, რასაც ემატება ინფორმაციის დაჩქარებული წესით დადგენილი ტარიფები - იმისდა მიხედვით, რა სახის ინფორმაციას ითხოვ. ვერავინ აგიხსნით, მაგალითად, რატომ ღირს ერთი გვერდის ამობეჭდვა აქ 50 თეთრი, რადგან სხვაგან იმავე მომსახურებისთვის 20 თეთრზე მეტს არავინ გადაგახდევინებთ. ასევე გაურკვეველია, რა ნიშნით დადგინდა ტარიფი ინფორმაციის დაუყოვნებლად მიღებისთვის. არადა, უმეტეს შემთხვევაში ისე ხდება, რომ ერთი მასალის მოსამზადებლად ერთდროულად რამდენიმე იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთან დაკავშირებული დოკუმენტების მოძიება გჭირდება და შენც იძულებული ხდები, მხოლოდ იმიტომ, რომ ჟურნალისტი ხარ და იმაზე მეტი უნდა მოითხოვო, ვიდრე სხვამ, სოლიდური თანხა გადაიხადო. ეს განსაკუთრებით იმ ჟურნალისტებს ეხებათ, რომლებიც სოციალური საკითხების გაშუქებით ან საგამოძიებო ჟურნალისტიკით არიან დაკავებულები. 50 ლარიც გადამიხდია, 150-იც და 200-იც და საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ასე თუ გავაგრძელებ, აუცილებლად მომიწევს პროფილის შეცვლა.

რასაკვირველია, ნებისმიერი მედიასაშუალება მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებას არ ემსახურება და ყველა მათგანს საკუთარი ბიზნესინტერესები გააჩნია. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ საზოგადოებრივად აქტუალური თემების გაშუქება სწორედ საზოგადოების დაკვეთაა და თუ მართლა გვინდა დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, მედიისთვის ზედმეტი პრობლემების შექმნა, მით უფრო - ფინანსურის, საქმეს არ წაადგება. დიახ, იმ ინფორმაციის გაცემა, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს და სწორედ ამის გამო არსებობს ესა თუ ის მედიასაშუალება, დაუბრკოლებლად და უსასყიდლოდ უნდა ხდებოდეს. არც მე და არც ჩემს კოლეგებს ეს ინფორმაციები სახლში დასაგროვებლად არ გვჭირდება და, ავად თუ კარგად, მათ ისევ და ისევ საზოგადოებისთვის ვამზადებთ. სამწუხაროდ, ჩვენი სარეკლამო ბაზარი არ იძლევა შესაძლებლობას, მედია, განსაკუთრებით - ბეჭდური, იმდენად წელგამართული მუშაობდეს, რომ თითო წერილის მომზადებაში სრულიად არაადეკვატური თანხა გადაიხადოს. სახელმწიფო რომ მედიის სუბსიდირებას არ დაიწყებს, ამაზე ლაპარაკიც უხერხულია - ქვეყანაში, სადაც "მასთ ქერი" და "მასთ ოფერი" ლამის საბჭოთა კავშირში დაბრუნებად აღიქმება, ძნელია სახელმწიფოს მხრიდან მედიის სუბსიდირების სიკეთეზე ილაპარაკო. ეს რომ მოხდეს, მაშინ საფრანგეთში უნდა ვცხოვრობდეთ, სადაც სხვადასხვა მედიასაშუალებების სუბსიდირებით უპირველესად სწორედ ხელისუფლებაა დაინტერესებული, ან თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ახლახან სახელმწიფო სწორედ რომ უხეშად ჩაერია მედიის საქმიანობაში, როცა "ნიუიორკ თაიმსს" დახურვის საფრთხე შეექმნა.

ჩვენ სახელმწიფოსგან ასეთ "მსხვერპლს" არ ვითხოვთ. უბრალოდ, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებისგან ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის ისედაც შენელებული ტემპით მინოდებას არადეკვატური ტარიფები არ უნდა ემატებოდეს. თუ მიხვდებიან სახელმწიფო მოხელეები, რომ ეს მოთხოვნა, უპირველესად, მათივე ინტერესებს ემსახურება, ხომ კარგი, თუ არადა, მიიღებენ ბევრად გაუარესებულ მედიას და ინფორმაციულ ვაკუუმს, რომლის ამოვსებაც, როგორც წესი, სახელმწიფოსთვის არცთუ სასარგებლო მეთოდებით ხდება.

P.S. ვწერ ამ წერილს და კალკულატორით ვითვლი, რა დამიჯდება 2 სააქციო საზოგადოებისა და მასთან დაკავშირებული 13 სხვადასხვა სტატუსით დარეგისტრირებული იურიდიული პირის დოკუმენტაციის გამოთხოვა: 200, 300, 400 თუ, სულაც, 500 ლარი?!

"ლეიბორისტები" ივანიშვილისა და მერაბიშვილის კოალიციურ მთავრობას პროგნოზირებენ

"ლეიბორისტების" მტკიცებით, არჩევნების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი და ვანო მერაბიშვილი კოალიციურ მთავრობას შექმნიან. როგორც "ლეიბორისტული პარტიის" აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პარტია არ დაუშვებს აღნიშნულ ქმედებას და "ვარდების რევოლუცია-2"-ის განხორციელებას.

"არა არს დაფარული, რაც არ გაცხადდების" - ივანიშვილ-მერაბიშვილის ურთიერთ ქება-რევერანსებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა შეთქმულება ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რომლის შესაბამისადაც, არჩევნების შემდეგ აპირებენ კოალიციური ხელისუფლების ჩამოყალიბებას; ეს ყველაფერი თავის გამოსვლაში "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა დაადასტურა,» - განაცხადა პატა ჯიბლაძემ.

მისივე თქმით, "ლეიბორისტული პარტია" ყველაფერს გააკეთებს, რომ "ვარდების რევოლუცია 2" არ დაუშვას.

"მოვუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას, არ წამოეგოს კრიმინალური ხელისუფლებისა და კრიმინალ-ოლიგარქის მორიგ ავანტიურას," - აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს შესახებ რეზოლუციით უკმაყოფილოა

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოს შესახებ მიღებული რეზოლუციის გამო მწუხარებას გამოთქვამს. როგორც ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ნებიმიერი სახის საერთაშორისო დოკუმენტი უნდა ეყრდნობოდეს რეალური ვითარების შეფასებას.

"აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფო, რომელიც გაერო-ს რამდენიმე წევრმა ქვეყანამ აღიარა. აქედან გამომდინარე, რეზოლუციაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერით ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა მთლიანად აიგნორებს იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელიც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შეიქმნა," - ნათქვამია განცხადებაში.

ე.წ. საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ ტერმინ "ოკუპირებული ტერიტორიების" გამოყენება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ მიუღებელი და არასწორია.

რაც შეეხება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების დაშვებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ ეს უსაფუძვლოა და ეწინააღმდეგება მედვედევი-სარკოზის შეთანხმებას.

"ახალმა მემარჯვენეებმა" მონოპოლიების არსებობა გააპროტესტეს

"ახალმა მემარჯვენეებმა" მონოპოლიების არსებობა ქუთაისში გააპროტესტეს. პარტიის ინფორმაციით, ქალაქის ცენტრალურ ბულვარში "მემარჯვენეების" ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ აქცია გამართა და მოსახლეობას სპეციალური ფლაერები დაურიგა.

საპროტესტო აქციაში "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე დავით გამყრელიძე და მემარჯვენეების ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი მამუკა მღვდელაძეც მონაწილეობდნენ. როგორც აქციის დასრულების შემდეგ დავით გამყრელიძემ განაცხადა, "ახალი მემარჯვენეები" მონოპოლების თემის მაქსიმალურად აქტუალიზაციას აპირებენ, რადგან მონოპოლია ეკონომიკას ანგრევს და კონკურენციას გასაქანს არ აძლევს.

"ახალმა მემარჯვენეებმა" გასულ კვირას ფართომასშტაბიანი კამპანია წამოვიწყეთ, რომლის მიზანი ქვეყანაში საწვავის, ფარმაცევტულ, გადაზიდვების, სურსათის იმპორტის და სხვა ბაზრებზე არსებული მონოპოლიების მოსპობაა. ამ აქციებით ვაპირებთ, თითოეული მოქალაქე ჩავრთოთ ამ პროცესში და ხელისუფლება ვაიძულოთ, შეწყვიტოს მონოპოლიების შექმნა, მათი მფარველობა და ამით ხალხის ინტერესების დაზარალება. მსგავსი აქციები საქართველოს ყველა ქალაქში მოეწყობა," - განაცხადა გამყრელიძემ.

ლვოვში 22:00 საათამდე რუსულად საუბარი აიკრძალება

ლვოვი რუსული ენის შეზღუდვას აპირებს და ამ საკითხზე უკვე კანონპროექტი მზადდება, - აღნიშნულის შესახებ ქალაქის მერმა ანდრეი სადოვიმ გამოაცხადა. მისი თქმით, "დამღუპველი" რუსული ენის წინააღმდეგ ალკოჰოლიზმის მსგავსად უნდა დაიწყოს ბრძოლა. ახალი კანონპროექტის თანახმად, რუსული ენის გამოყენება შეესაძლებელი იქნება მხოლოდ 22:00-დან 08:00 საათამდე. დროის ეს მონაკვეთი, როგორც "ნოვოსტი ზაკარპატია" წერს, ალკოჰოლის აკრძალვის საათებს ემთხვევა. "ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილება, ვებრძოლოთ ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველ გავლენებს. გასულ წელს ალკოჰოლიზმთან დავიწყეთ მკაცრი ბრძოლა. ახლა კი იმავე საშუალებებით რეგიონული ენების (იგულისხმება რუსული ენა) გამოყენებას შევებრძოლებთ," - აღნიშნავს ქალაქის მერი.

ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის ("24 საათი" ამის შესახებ დაწვრილებით წერდა), რომ ივლისის დასაწყისში უკრაინის რადამ მეორე მოსმენით "მიიღო" კანონპროექტი, რომელიც რუსული ენის პოზიციებს ამყარებს. კანონპროექტის მიღება ოპოზიციურმა პარტიებმა გააპროტესტეს. "უკრაინული სახლის" წინ გამართული საპროტესტო აქცია დაპირისპირებაშიც გადაიზარდა.

სირიის ელჩი ერაყში ოპოზიციის მხარეს გადავიდა

სირიის ელჩმა ერაყში ნავაფ ფარესმა განაცხადა, რომ ხელისუფლების ქმედების პროტესტის ნიშნად, გადაწყვიტა, ოპოზიციის მხარეს გადავიდეს. ნავაფ ფარესი მმართველი "ბაასის" პარტიის წევრია. ადრე მას ქალაქების იდლიბისა და დეირ ზურის გუბერნატორის თანამდებობა ეკავა, სადაც სამთავრობო ჯარებსა და ოპოზიციას შორის არაერთი შეტაკება მომხდარა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მაღალი რანგის დიპლომატი ოპოზიციის მხარეს გადადის, მაგრამ ეს პროცესი სამხედროებთან შედარებით მაინც "ახალდაწყებულია". ერთი კვირის წინ სირიელი გენერალი მანაფ ტლასი, რომელიც ქვეყნის ყოფილი თავდაცვის მინისტრის შვილია, სირიიდან პარიზში გაიქცა.

გუშინვე სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნავაფ ფარესი თანამდებობიდან გაათავისუფლა. მათ განაცხადეს, რომ აწ უკვე ყოფილ ელჩს "კავშირი აღარ აქვს სირიის საელჩოსთან ერაყში ან საგარეო საქმეთა სამინისტროსთან". საელჩო ბაღდადში ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას.

საფრანგეთის ალპებში ზვავს 9 ადამიანი ემსხვერპლა

პოლიციის განცხადებით, საფრანგეთის ალპებში, სათხილამურო კურორტ შამონისთან ზვავის ჩამოწოლას ცხრა მთამსვლელი ემსხვერპლა, კიდევ ცხრა კი დაშავდა. "ფარნს პრესის" ცნობით, დაღუპულებს შორის არის ორი გერმანელი, ორი ესპანელი და ორი შვეიცარიელი მთამსვლელი. კიდევ რამდენმე კაცი დაკარგულად მიიჩნევა. შიშობენ, რომ გარდაცვლილთა რიცხვი შესაძლოა, გაიზარდოს. სამაშველო ჯგუფები დაკარგულთა პოვნას ვერტმფრენების დახმარებით ცდილობენ. საფრანგეთის ხელისუფლების შეფასებით, ეს ზვავი უკანასკნელი წლების განმავლობაში "ყველაზე სასიკვდილოა".

ისრაელი ეგვიპტის საზღვარზე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას განათავსებს

ისრაელის მედიის ცნობით, ქვეყანა აპირებს, ეგვიპტის საზღვარზე განათავსოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა "რკინის გუმბათი". სისტემას დააყენებენ ისრაელის სამხრეთ ნაწილში ქალაქ ეილათის მახლობლად. ადრე ამ სისტემას მხოლოდ პალესტინის ავტონომიის (უმთავრესად ღაზას სექტორის) მხრიდან მომდინარე საფრთხის - "კასამის" ტიპის თვითნაკეთი რაკეტების წინააღმდეგ იყენებდნენ.

რატკო მლადიჩი საავადმყოფოში მოათავსეს

ბოსნიელი სერბების არმიის ყოფილი ხელმძღვანელი რატკო მლადიჩი ჰააგაში გამართული სასამართლოდან საავადმყოფოში გადაიყვანეს. გენერალ მლადიჩს სამხედრო დანაშაულსა და კაცობრიობის წინააღმდეგ 1992-1995 წლების მანძილზე ჩადენილი დანაშაულის 11 პუნქტში ედება ბრალი. 70 წლის მლადიჩი ყველა ბრალდებას უარყოფს. ჰააგის ტრიბუნალის წარმომადგენლის თქმით, მლადიჩი შეუძლოდ გახდა უშუალოდ სასამართლო სხდომაზე, ექთნის მიერ გასინჯვის შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. თუ მლადიჩი გამომჯობინდება, მოსმენა პარასკევს განახლდება.

პაკისტანის ქალაქ ლაჰორში პოლიციის კადეტები დახოცეს

პოლიციის კადეტების ყაზარმაზე თავდასხმისას, სულ ცოტა, 9 ადამიანი დაიღუპა. ნიღბებში გამოწყობილი შეიარაღებული პირები მოტოციკლეტებით მივიდნენ რაიონ რასულ პარკში (ქალაქის ცენტრში) მდებარე საცხოვრებელ კომპლექსთან. მათ ჯერ მცველი დაჭრეს, შემდეგ მეორე სართულზე ავიდნენ და კადეტებს ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდეგ თავდამსხმელები ისევ მოტოციკლეტებით მიიმალნენ. ყველა დაღუპული კადეტი ერთი პროვინციიდან - ჰაიბერ-პახტუნხვადან იყო. ისინი გადოდნენ ციხის მცველების კურსებს. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა "თალიბანმა" აიღო. ამ მოძრაობის წარმომადგენელმა ესანულა ესანმა განაცხადა, რომ "დიდი ხანია, მზადდებოდა პოლიციაზე ანგარიშსწორების გეგმა, რადგან ამ უწყების დამოკიდებულება ციხეებში ჩვენიანების მიმართ არაადამიანური და შეურაცხმყოფელია".

მოამზადა თამთა კახაძემ

ქერჩის სრუტეზე დავაში რუსეთი უკრაინას უთმობს

მოსკოვმა და კიევმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, ბოლო მოუღონ აზოვის ზღვასა და ქერჩის სრუტეში საზღვრის დადგენის შესახებ მრავალწლიან დავას. ორწლიანი შესვენების შემდეგ 12 ივლისს იალტაში უკრაინა-რუსეთის სახელმწიფოთაშორისი კომისიის შეხვედრა შედგა. გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრის ფარგლებში მხარეები ხელს მოაწერენ შეთანხმებას აზოვი-ქერჩის აკვატორიაში საზღვრების ადგილმდებარეობის დადგენის შესახებ. როგორც უკრაინული მედია იუწყება, მოსკოვი მრავალწლიანი დავის შემდეგ კიევთან დათმობაზე მიდის.

"კომერსანტ-უკრაინას" წყაროს ცნობით, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამ საკითხის ირგვლივ მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია. ხელშეკრულება კი შესაძლოა, გუშინვე გაეფორმებინათ - რამდენიმე ძირითად პუნქტზე პრეზიდენტების ვლადიმირ პუტინისა და ვიქტორ იანუკოვიჩის შეთანხმების შემდეგ.

გავრცელებული ინფორმაციით, ქერჩის სრუტეში სახელმწიფო საზღვარი იმ ხაზზე გაივლის, რომელიც მოლაპარაკებების პროცესში უკრაინამ მოითხოვა ან მასთან ახლოს. უკრაინის ტერიტორიაზე დარჩება კუნძული ტუზლა და ქერჩი-ენეკალის სანაოსნო არხი. აზოვის ზღვის საკითხში კი მხარეებმა კომპრომისს მიაღწიეს - საზღვარი უკრაინისა და რუსეთის მიერ წარმოდგენილ პოზიციებს შორის გაევლება.

ქერჩის სრუტის უკრაინულ ნაწილზე რუსული გემების გავლის პირობები პრეზიდენტების შეხვედრაზე უნდა გადაწყვეტილიყო. სამაგიეროდ უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეთანხმება ასევე გაანაწილებს ქვეყნებს შორის შავ ზღვაში პალასის ნავთობისა და გაზის საბადოს. ამით შესაძლებელი ხდება ერთობლივად მოძიება და მოპოვება.

მოსკოვი და კიევი აზოვის ზღვაში და ქერჩის სრუტეში საზღვრების დადგენის შესახებ უკვე 20 წელზე მეტია, დავობენ. მას შემდეგ, რაც 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა, უკრაინამ საკუთარი საზღვაო საზღვარი კრასნოდარის მხარესა და კუნძულ ტუზლას შორის გაავლო (კუნძული ტუზლა საბჭოთა კავშირის პერიოდშიც უკრაინის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედიოდა). შედეგად ქერჩის სრუტის სანაოსნო ნაწილი უკრაინის მხარეს აღმოჩნდა. მას შემდეგ რუსეთსა და უკრაინას შორის არაერთხელ წარმოიშვა დავა როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო საზღვრების გამო.

2003 წელს ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საზღვრის შესახებ. ამ დოკუმენტში განსაზღვრული იყო სახმელეთო საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის. დოკუმენტის მე-5 მუხლით, აზოვის ზღვას და ქერჩის სრუტეს ორი სახელმწიფოს შიდა წყლების სტატუსი მიენიჭათ. საზღვაო საზღვრის საკითხი კი ცალკე გამოიყო, როგორც დამატებითი მოლაპარაკებები საგანი.

2003 წელს რუსეთმა კრასნოდარის მხარესა და უკრაინის კუნძულ ტუზლას შორის დამბის აშენება დაიწყო. მშენებლობამ უკრაინის მწვავე პროტესტი გამოიწვია. პრობლემის მოსაგვარებლად მაშინდელი პრეზიდენტები ლეონიდ კუჩმა და ვლადიმირ პუტინი ქერჩი-ენეკალის არხის ერთობლივ გამოყენებაზე შეთანხმდნენ. ამ შეთანხმებას საზღვრების დადგენის შესახებ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა ემოქმედა.

მოსკოვსა და კიევს შორის შემდეგ წლებშიც გაგრძელდა მწვავე დავა აზოვის ზღვასა და ქერჩის სრუტეში საზღვრების დადგენის საკითხზე. 2010 წლის მაისში უკრაინასა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საზღვრების დემარკაციის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, შეექმნათ ერთობლივი სადემარკაციო კომისია. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2010 წლის აგვისტოს, თუმცა საკითხის მიმართ მხარეებს კვლავ განსხვავებული მიდგომები ჰქონდათ: მოსკოვი უკრაინას სთავაზობდა, ყველაფერი თანაბრად გაეყოთ, ხოლო კიევს სახელმწიფო საზღვრის გავლება ყოფილი საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით სურდა. ეს კი, რუსული ვერსიით, რუსეთისთვის ზღვაზე გასასვლელის "ჩამორთმევას" ნიშნავს.

ქერჩის სრუტე ერთადერთი სრულფასოვანი სანაოსნო გამოსასვლელია აზოვის ზღვიდან. მოცემულ მომენტში გემების მოძრაობა ორი მარშრუტით არის შესაძლებელი: უკრაინის კუთვნილებში მყოფი ქერჩი-ენიკელის ღრმა არხით და რუსეთის ნომერ 50 და 52 ფარვატერებზე, რომლებიც მცირე ზომის გემებზეა გათვლილი.

ყოველდღიურად ქერჩის სრუტეს 9 000-მდე გემი გადის, რომლებიც მიემართებიან აზოვის, როსტოვის და ტემრიუკის რუსულ პორტებში და შესაბამისად ამ პორტებიდან შავ ზღვაში. ქერჩი-ენიკელის არხის გავლისას რუსეთის გემები იხდიან სანავიგაციო და სალოცმანო მომსახურების გადასახადს, ასევე რამდენიმე სხვა მოსაკრებელს.

მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

"მაგნიტსკის სია" - ამერიკაში რუსული დელეგაციის ვიზიტის მიზანი

ხათუნა გაბიევი

"მაგნიტსკის სია" კვლავ ყურადღების ცენტრშია. ვაშინგტონში საგანგებოდ ამ თემის განსახილველად რუსი სენატორების დელეგაცია ჩავიდა. ვიტალი მალკინი, ვალერი შნიაკინი, ალექსანდრ სავენკოვი და ასლამბეკ ასლახანოვი ამერიკელ კოლეგებთან იმ კანონზე იმსჯელებენ, რომლის მიღებასაც ამერიკის შეერთებულ შტატებში კონგრესის ორივე პალატა წლის ბოლოსთვის ვარაუდობს. გავრცელებული ინფორმაციით, კანონპროექტი ითვალისწინებს სანქციებს იმ რუსი ჩინოსნებისა და გამომძიებლების წინააღმდეგ, რომლებიც, ადამიანის უფლებადამცველთა ვარაუდით, დაკავშირებულნი არიან საინვესტიციო ფონდ "ჰერიტიჯ კეპიტალის" აუდიტორის, პროფესიით იურისტ სერგეი მაგნიტსკის საქმესთან. საინვესტიციო ფონდის აუდიტორი მოსკოვის ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. გამომძიებლებმა სცადეს, პატიმრის გარდაცვალებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად საპყრობილის ექიმებისთვის დაეკისრებინათ. ძველ ვერსიაზე უარის თქმას რუსული მხარე არც ახლა აპირებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტით მყოფი დელეგაციის წევრები აცხადებენ, რომ მათ თან აქვთ ყველა დოკუმენტი, რომლებიც საპყრობილეში მაგნიტსკის არასწორი მკურნალობის შედეგით გამოწვეულ გარდაცვალებას ადასტურებს. რაც შეეხება მის დაკავებას, რუსული მხარე აცხადებს, რომ ეს კანონიერად მოხდა. დოკუმენტების კომპლექტი 14-გვერდიანი ცნობისგან შედგება, ინგლისურ ენაზეა ნათარგმნი და თან ახლავს ორენოვანი ილუსტრირებული მასალა. **"ჩვენ ვრცელი ცნობები მოვამზადეთ, სადაც ოფიციალური დოკუმენტებია ჩართული,"** - განაცხადა სენატორმა ვიტალი მალკინმა. გარდა ამისა, მან ისიც აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტები დღემდე არ გამოქვეყნებულა და უძვრიფასეს მასალას წარმოადგენს, რომელიც სრულად ცხადყოფს მაგნიტსკის საქმის დეტალებს.

რუსულ დელეგაციასთან შეხახვედრად მზადყოფნა თავიდანვე გამოთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უენდი შერმანმა, სენატორებმა ბენ ნელსონმა, ჯონ მაკკეინმა, როჯერ უიკერმა, ბობ კორკერმა და კონგრესმენებმა გრეგორი მიქსმა და ჯეიმს მაკგოვერნმა, რომლებიც წარმომადგენელთა პალატაში "მაგნიტსკის კანონის" მთავარი ინიციატორები არიან. სენატში კანონპროექტი "დემოკრატმა" ბენჯამინ კარდინმა შეიტანა, მაგრამ მან რუსულ დელეგაციასთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

"ჩვენ სრულად ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სერგეი მაგნიტსკის გარდაცვალება დეტალურ შესწავლას და სრულმასშტაბიან გამოძიებას საჭიროებს, ისევე როგორც სხვა ინციდენტები, რომლებსაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა... მზად ვართ, ვაღიაროთ, რომ მაგნიტსკის სხეულზე მართლაც აღენიშნებოდა ფიზიკური ზემოქმედების კვალი და ასევე ისიც, რომ მას დროულად არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. სწორედ ამასთან დაკავშირებული პირები უნდა მიეცენ პასუხისგებაში," - ნათქვამია რუსული დელეგაციის მიერ წარდგენილ ანგარიშში. დოკუმენტის ავტორები იმასაც აცხადებენ, რომ აუდიტორის გარდაცვალების გარემოების გამოძიებამ არ უნდა იმოქმედოს თავის მხრივ კომპანია "ჰემიტიჯ კეპიტალის" საქმის გამოძიებაზე, რომელსაც რუსეთში გადასახადებისთვის თავის არიდებასა და საბიუჯეტო სახსრების მიტაცებაში ადანაშაულებენ.

რუსული დელეგაციის წარმომადგენელთა თქმით, მათ ვიზიტს ვაშინგტონში გაგებით შეხვდნენ და წარდგენილი დოკუმენტების შესწავლას დაჰპირდნენ, მაგრამ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ერთ-ერთი ანონიმური წყაროს თქმით, ფედერაციული საბჭოს წევრების ვიზიტი ამერიკაში - სასაცილოდ, ხოლო მათი ანგარიში "სულელურ სიცრუედ" აღიქვეს.

რუსეთის დუმამ ინტერნეტცენზურის კანონი მიიღო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

11 ივლისს კანონპროექტმა მიყოლებით გაიარა მეორე და მესამე, საბოლოო მოსმენა. აშკარად ჩანდა, რომ დეპუტატები ცდილობდნენ, თავიდან აეცილებინათ კანონპროექტის საფუძლიანი განხილვა როგორც პარლამენტში, ასევე საზოგადოებაში, რათა არ წარმოჩენილიყო მისი მიღების აბსურდულობა.

კანონს შინაურულად უწოდებენ "შავ სიებს ინტერნეტში". მის წინააღმდეგ გამოდიოდა როგორც მთლიანად "რუნეტი", ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის საპრეზიდენტო საბჭოც და გარკვეულწილად თვით რუსეთის კავშირისა და მასობრივი კომუნიკაციების სამინისტროც.

კანონპროექტი დუმამ პირველი მოსმენით 6 ივლისს მიიღო. მიტინგებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ სხვა ორი სკანდალური კანონპროექტისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ მმართველი პარტიის მიერ იყო მომზადებული, "ინტერნეტ-ცენზურის" კანონი წამოაყენა სახელმწიფო დუმაში წარმოდგენილმა ოთხივე პარტიის ფრაქციამ ("ედინაია როსია", "კომპარტია", "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია" და "სპრავედლივაია როსია"). მას მხარს უჭერდა პრემიერი დმიტრი მედვედევიც. მისი სიტყვებით, "ქსელი თავისუფალი უნდა იყოს", მაგრამ "იქიდან ყველაფერი საშიში უნდა ამოიწმინდოს უკვე აპრობირებული პროცედურების დახმარებით".

კანონპროექტი სერიოზულად გააკრიტიკეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ადამიანის უფლებათა დამცველებმა და, ცხადია, ბლოგერებმა. რიგი რუსული და უცხოური ინტერნეტკომპანიები, მათ შორის ისეთი მსხვილები, როგორებიც არის "Wikipedia", "Яндекс", "ВКонтакте" და "LiveJournal", დარწმუნებულები არიან, რომ ამ კანონის სახით საქმე აქვთ ცენზურასთან ქსელში. "ვიკიპედიას" რუსული ვერსია ოთხშაბათს რამდენიმე საათის განმავლობაში დახურული იყო. ამუშავების შემდეგ მის მთავარ გვერდზე განთავსებული იყო დეპუტატების მიმართ მოწოდება, არ მიეღოთ კანონპროექტი, საზოგადოებას კი სთხოვდნენ, მიემართათ ყველა კანონიერი საშუალებისთვის, რათა კანონპროექტის მიღება შეჩერებულიყო. "Mail.ru Group"-ის წარმომადგენელი მიხაილ იაკუშევი კი ამტკიცებს, რომ ეს კანონი ჩინურ ანალოგზე უარესია, რომელსაც ის "ვიკიპედიამ" შეადარა. ის უფრო ჰგავს ჩამორჩენილი სახელმწიფოების კანონს, რომლებიც ინფორმაციას ზღუდავენ, მაგალითად, რელიგიური მოსაზრებებით.

მედიისა და საზოგადოების რეაქცია იმდენად მკვეთრი აღმოჩნდა, რომ დეპუტატებმა საჭიროდ მიიჩნიეს, მეორე მოსმენის წინ კანონპროექტი ოდნავ შეერბილებინათ. საიტის დახურვის მიზეზებში არსებული გაურკვეველი ფრაზა "მავნე ინფორმაცია" შეიცვალა მეტ-ნაკლებად კონკრეტული ჩამონათვალით. ადვილი შესამჩნევია, რომ ეს თავდაპირველი ფორმულირება ჩინოვნიკებს საიტის ნებისმიერი საბაბით დახურვის საშუალებას აძლევდა. საბოლოო ვერსიაში მითითებულია, რომ საიტები შეიძლება დაიხუროს სამ შემთხვევაში: ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების, აგრეთვე ნარკოტიკების და მოზარდთა სუიციდის პროპაგანდისთვის. პროფილური კომიტეტის ხელმძღვანელმა ელენა მიზულინამ კი განაცხადა, რომ პირველ და მეორე მოსმენებს შორის კანონპროექტში ოთხი პრინციპული შესწორება შევიდა (სულ 17 შესწორება იყო): პირველი - საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეეძლებათ, თვითონ ჩაატარონ მონიტორინგი, ხოლო "შავი სიები" გამოჩნდება არა 2013 წლის პირველი იანვრიდან, არამედ უფრო ადრე - 2012 წლის პირველი ნოემბრიდან; მეორე - ბავშვებისთვის საშიში შინაარსი კონკრეტიზებულია; მესამე - ექსპერტიზის შედეგების გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში და მეოთხე - ჯერჯერობით არ შემოდის ჯარიმები, რადგან ეს კარგად არის მოსაფიქრებელი და ამისთვის ცალკე დოკუმენტია საჭირო.

"სპრავედლივაია როსიას" დეპუტატ ილია პონომორიოვის აზრით, რომელიც კანონპროექტის წინააღმდეგია, კარგია, რომ დუმამ ანგარიში გაუწია ინტერნეტ-საზოგადოებას და რაღაც მაინც გაითვალისწინა. თუმცა არიან უფრო სკეპტიკურად განწყობილებიც. გლებ პავლოვსკი ირონიულად აღნიშნავს, რომ დოკუმენტის ავტორებს "უბრალოდ, სურთ შეინარჩუნონ საერთაშორისო რესპექტაბელურობის ნარჩენები შვებულებაში გასვლის წინ", თან არ უნდათ, გადაიმტერონ ყველა მედიასაშუალება, მათ შორის ლოიალურები. უფრო კონკრეტული იყო ალეკსეი ნავალნი. მისი სიტყვებით, ეს კანონი მაინც იმუშავებს ხელისუფლების პოლიტიკური შეკვეთების შესასრულებლად. მაგალითად საიტის, ბლოგის ან ფორუმის კომენტარებში "ვინმე" დატოვებს მითითებას თემაზე "როგორ მოვხარშოთ "ელ-ეს-დე" წიწიბურით და ბრილიანტის მწვანით". ამის შემდეგ საიტს შეიტანენ აკრძალულთა სიაში, ხოლო მისი მფლობელი თვეების განმავლობაში ირბენს სასამართლოში იმის დასამტკიცებლად, რომ აქლემი არ არის.

რუსეთში ინტერნეტის შემზღუდავი კანონისა და აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ კანონის განხილვის გამო (ეს კანონი დუმაში შესულია, მაგრამ ბოლომდე მიღებული ჯერ არ არის) შეშფოთება გამოხატა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმაც. მან მოიყვანა სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის მიერ ამ თემაზე ცოტა ხნის წინ გამოთქმული კომენტარი. ჰილარი კლინტონმა მსგავს სიტუაციაში მინიშნება გააკეთა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციაზე და კონკრეტულად მის მე-19 მუხლზე, რომელიც იცავს ადამიანების უფლებას, თავისუფლად გამოთქვან საკუთარი აზრი და ასევე თავისუფლად მოიპოვონ და გაავრცელონ ინფორმაცია.

მეორე სკანდალური კანონპროექტი, რომელიც ეხება არაკომერციული ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებს ანუ მათ შერაცხვას "უცხოეთის აგენტებად", ცალკე სტატიის თემაა და მას მოგვიანებით შევეხებით.

ბრიტანეთის არმია ოლიმპიური თამაშების დასაცავად მზად არის

დიდი ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა, ლონდონში ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამატებით 3,5 ათასი სამხედრო გამოეყო. ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორი კვირით ადრე გაირკვა, რომ ორგანიზატორებს დაცვის კვალიფიციური კადრების მხრივ სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ კერძო კომპანია "G4S", რომელიც პასუხისმგებელია თამაშების უსაფრთხოებაზე, ვერ ასწრებს მცველების საკმარისი რაოდენობის დაქირავებას.

შეიარაღებულმა ძალებმა თამაშების დასაცავად უკვე გამოყო 13,5 ათასი ჯარისკაცი, მაგრამ მათ ახლა ამ რაოდენობის 17 ათასამდე გაზრდა მოუწევთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრ სამხედროს შვებულებას გადაუვადებენ.

"G4S"-ის განცხადებაში ნათქვამია, რომ მათ "თანამშრომლების აყვანაზე გარკვეული პრობლემები შეექმნათ". კომპანიამ 300 მილიონი გირვანქა-სტერლინგის ღირებულების (ეს, დაახლოებით, ნახევარ მილიარდ დოლარს უდრის) კონტრაქტი გააფორმა და პასუხისმგებლობა იკისრა, რომ თამაშების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, მაგრამ, როგორც შემდგომ გავრცელდა ინფორმაცია, მან ვერ შეძლო აეყვანა და მოემზადებინა 10 ათასი მცველი. "G4S"-ის თანამშრომლის განცხადებით, კომპანიისთვის ცნობილი გახდა, რომ ბრიტანეთის მთავრობა თამაშების დასაცავად დამატებით ძალებს გამოყოფს.

ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელთა თქმით, ეს ფაქტი გავლენას არ მოახდენს თამაშების უსაფრთხოებაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დამატებითი სამხედრო მოსამსახურეების განლაგების დეტალებზე ისინი განცხადებას მოგვიანებით გააკეთებენ. სულ მთავრობამ ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 553 მილიონი გირვანქა სტერლინგი (860 მილიონი დოლარი) გამოყო.

მას შემდეგ, რაც მომსახურებაზე მგზავრების მრავალრიცხოვანი საჩივრები მიიღეს, სახელმწიფო ხელისუფლება აპირებს, დედაქალაქის აეროპორტ "ჰიტროუში" სამუშაოდ საბაჟოს თანამშრომლები მეტი რაოდენობით მიავლინოს.

თავის მხრივ განცხადება გააკეთა ლონდონის მერ ბორის ჯონსონის წარმომადგენელმა. მისი თქმით, "მერი ძალიან სერიოზულად უდგება ოლიმპიადის უსაფრთხოების საკითხს და ის ფაქტი, რომ თამაშების დროს მსოფლიოში საუკეთესო ჯარისკაცები დაგვეხმარებიან, ყველას გვამშვიდებს".

მთლიანობაში, ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებას 23,700 ადამიანი დაიცავს. "G4S"-ი გააკონტროლებს უსაფრთხოების საერთო სისტემას და ასევე ითანამშრომლებს შეუიარაღებელ ჯარისკაცებთან.

უსაფრთხოების ზომები უზრუნველყოფილი იქნება, დაახლოებით, 30 ოლიმპიურ ობიექტზე, სადაც ჩატარდება ასპარეზობები, ასევე ბევრ სხვა ადგილებზეც - მაგალითად, ავტოსადგომებზე.

მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

ტერორიზმის აცრდილი საფრანგეთში

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲒᲐᲑᲘᲔᲕᲘ

ტერორიზმის მორიგი შემთხვევა საფრანგეთში - პარიზის მახლობლად, ვიტრი-სურ-სენის საზაფხულო სკოლაში უცნობმა მამაკაცმა მძევლები აიყვანა. ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ სკოლის შემოგარენში პოლიციის მობილიზება დილიდანვე გახდა საჭირო. გავრცელებული ინფორმაციით, უცნობმა შეიარაღებულმა მამაკაცმა მძევლად რამდენიმე მოსწავლე და მშობელი აიყვანა (ამის თაობაზე გუშინ უკვე წერდა «24 საათი»)

პოლიციის სპეცდანაყოფი სკოლაში დილის 7 საათზე გამოიძახეს. სამართალდამცველებს ერთ-ერთი მშობელი დაუკავშირდა, რომელსაც ის-ის იყო ბავშვი მიეყვანა სკოლაში. იმ დროს შენობაში 10-მდე მოსწავლე და სამი მშობელი იმყოფებოდა. შარლ პეროს სახელობის დაწყებითი სკოლა პატარა დასახლებული პუნქტის ცენტრში არდადეგების დროს მოსწავლეთა სპეციალურ კლუბს წარმოადგენს.

პოლიციის ინფორმაციით, დაახლოებით 30 წლის შეიარაღებულმა მამაკაცმა სკოლის შენობაში შეღწევა მენაგვის კომბინეზონში გადაცმულმა მოახერხა.

მან მძევლების გათავისუფლება მალევე დაიწყო, რის შემდეგაც ადგილზე მობილიზებული საპოლიციო დანაყოფები შენობაში შეიჭრნენ და თავდამსხმელი დააკავეს. გავრცელებული ცნობებით, დაკავებისას მოძალადე არ დაშავებულა.

როგორც ფრანგული მედია აღნიშნავს, თავდამსხმელს დაკავების შემდეგ რამდენიმე ყოვლად უშინაარსო განცხადება გაუკეთებია. მანამდე კი, ვიდრე მასთან სამართალდამცველები მძევლების გათავისუფლებაზე მოლაპარაკებს აწარმოებდნენ, რამდენჯერმე გამოთქვა სატელეფონო საუბრისას თვითმკვლელობის სურვილი. დაკავებულის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ მწირია, ცნობილია მხოლოდ ის, რომ დღემდე მასზე სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ ყოფილა.

საფრანგეთში მძევლების აყვანის და მათთან ერთად თვითმკვლელობის მცდელობის ეს უკვე მესამე გახმაურებული შემთხვევაა საფრანგეთი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. ვიტრი-სურ-სენის ინციდენტს წინ უძღოდა ტულუზის ორი გახმაურებული საქმე - ივნისის ბოლოს ბანკის შენობაში შეჭრილი თავდამსხმელი და "ტულუზელი მსროლელის" მეტსახელის მქონე მუჰამედ მერას ლიკვიდაცია. თუ ბანკში შეჭრისა და მძევლების გათავისუფლების შემთხვევა უმსხვერპლოდ დასრულდა და თანაც დაკავებული შეურაცხადი აღმოჩნდა, გაცილებით სერიოზულად იყო საქმე მუჰამედ მერას შემთხვევაში. ტულუზის პოლიციას და საფრანგეთის სპეცრაზმს ვითარების განმუხტვისთვის რამდენიმესაათიანი ალყა და ბოლოს ტერორისტის ლიკვიდაცია დაჭირდათ. მუჰამედ მერამ, რომელიც თავს ალ-კაიდასთან დაკავშირებულ პირს უწოდებდა, ჯერ 3 სამხედრო მოსამსახურე დახოცა ტულუზაში, შემდეგ კი ებრაულ სკოლასთან რაბინი და რამდენიმე მცირეწლოვანი მოსწავლე მოჰკლა. მერას საქმე ახლახან ისევ ამოტივტივდა და სრულიად საფრანგეთის აღშფოთება გამოიწვია. ქვეყანა შოკში ჩააგდო კერძო ტელეარხის - "TF1"-ის მიერ მუჰამედ მერას სიკვდილისწინა აღსარების ტრანსლაციამ. პოლიცია აუდიოფაილების გაჟონვის წყაროს ეძებს, მუჰამედ მერას ნათესავები კი სასამართლოში შესატანად სარჩელს ამზადებენ. ისინი შიშობენ, რომ თუკი ერთხელ უკვე გაჟონა ინფორმაციამ, გასაკვირი არ იქნება, რომ საჯაროდ ცნობილი გახდეს ის ვიდეოჩანაწერიც, რომელიც მერამ მკვლელობების დროს გააკეთა. ის შეიძლება არ მოხვდეს რომელიმე კერძო ტელეარხის ეთერში, თუმცა იმის გარანტია ნამდვილად არ არსებობს, რომ ინტერნეტგვერდებზე არ აიტვირთება.

"შემდეგი ეტაპიც არ დაახანებს, ვგულისხმობ სროლის ჩანაწერების პუბლიკაციას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სულ რაღაც დღეების საკითხია, ეს კი ძალიან მაშფოთებს," - განაცხადა ერთ-ერთი კაპრალის მამამ, რომლის შვილიც მუჰამედ მერამ იმსხვერპლა. ასევე ერთ-ერთი დაღუპულის ოჯახის ადვოკატი შიშობს, რომ ფაილების გასაჯაროების შანსი მართლაც დიდია, რადგან ტელეეთერშიც ისე მოხვდა აუდიოჩანაწერები რომ არავისთვის არაფერი უკითხავთ.

გამჟღავნებულ ჩანაწერებში "ტულუზელი მსროლელი" აცხადებს, რომ იგი პაკისტანში "ალ-კაიდის ძმებთანაა" დაკავშირებული. ტელეპროგრამის რეჟისორი და მთავარი რედაქტორი კი თავის გასამართლებლად აცხადებენ, რომ ხალხს ამის ცოდნის უფლება აქვს. **"მესმის მათი ემოციების, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ეს დოკუმენტი ინფორმაციის ღირებული წყაროა. ეს ფაქტები ცნობილი უნდა იყოს არა მხოლოდ უბრალოდ მაყურებლისთვის, არამედ დაღუპულთა ოჯახებისთვისაც,"** - აღნიშნა ტელეარხ "TF1"-ის მთავარმა რედაქტორმა ფილიპ პეკულმა.

რეაგირება ეთერით გადაცემულ გასაიდუმლოებულ აუდიოჩანაწერებზე სასწრაფოდ მოხდა. მასმედიის საკითხებში საფრანგეთის უმაღლესმა საბჭომ სხვა არხებს ეთერში მუჰამედ მერას მონათხრობის გადაცემა აუკრძალა. ჩანაწერში ტერორისტი, რომელმაც 7 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, საუბრობს იმაზე, თუ როგორ არ ეშინია სიკვდილის. ადვოკატებმა გადაცემას დაღუპულთა ოჯახებისთვის "აბსოლუტური კოშმარი" უწოდეს. ტელეარხის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საქმეს სასამართლო თვის ბოლოს განიხილავს.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ "ᲡᲐᲑᲐᲡ" ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗᲐ ᲯᲐᲮᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

2003 წლის გაზაფხულზე თიბისი ბანკმა პირველად მიგვიწვია ლიტერატურულ დაჯილდოებაზე და წლის საუკეთესო ნაწარმოებების ავტორებიც გაგვაცნო. იგივე განმეორდა ათი წლის შემდეგაც, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ნომინაციათა რაოდენობა ბევრად აღემატება მაშინდელს, თავად "საბა" კი დეკადის "მოსავალს" ანგარიშობს: ამ წლების განმავლობაში პრემიის ჟიურის წევრებმა 1500-ზე მეტი წიგნი გადაიკითხეს და შეაფასეს, აქედან 400-ზე მეტი სხვადასხვა ნომინციაში გადანაწილდა, 62 ავტორს კი 74 ჯილდო გადასცეს.

ეს რაც შეეხება "საბას" "ბუღალტერიას", რომელიც იმის ფონზე, რასაც აღნიშნული ლიტერატურული პრემია რეალურად წარმოადგენს, მხოლოდ "დამხმარე მასალად" შეგვიძლია განვიხილოთ. აქ მთავარი ის ავტორებია, რომლებიც წლიდან წლამდე გვათავზობენ საკუთარ პოეზიას, რომანებს, თარგმანებს თუ ესსეისტურ ნაშრომებს.

წლევანდელი "საბა" დებიუტის ნომინაციამ გახსნა და ზუსტად ისე, როგორც 2009 წელს გიორგი კეკელიძისა და დიანა ანფიმიადის შემთხვევაში, ჯილდო ორად გაიყო. "საბა" საუკეთესო დებიუტისთვის ეკატერინე ტოგონიძემ (მოთხრობების კრებული "ანესთეზია") და სალომე ბენიძემ (პოეტური კრებული "მოხსნებითი ბარათი") გაინაწილეს, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ბენიძეზე მეტად გამარჯვებას ტოგონიძეს უწინასწამეტყველებდნენ, რომლის სადებიუტო წიგნში შესული მოთხრობა "სხვა გზა" "15 საუკეთესო ქართული მოთხრობის" კრებულშიც შევიდა და მესამე ადგილზეც გავიდა.

სალომე ბენიძე და ეკატერინე ტოგონიძე

ᲑᲘᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ლიტერატურული კრიტიკის ნომინაციის რჩეული ლევან ბრეგაძე და მისი "ლიტერატურული (გამო)ძიებანი" გახდა, ხოლო წლის საუკეთესო ესსეისტიკისა და დოკუმენტური პროზის ნომინციაში ყველას გიორგი მაისურაძის ნაშრომმა "ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები" აჯობა.

შარშან ჩვენი წიგნის მაღაზიების დახლებზე ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანი, ხათუნა ცხადაძის "ვარდის სახელი" (უმბერტო ეკო) გამოჩნდა. ცხადაძემ ამ ნამუშევრისთვის პრემია "გალაც" მიიღო და "საბასაც" მას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა როდესაც დავით წერედიანის "ფაუსტის" თარგმანი გამოვიდა, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ წელს "საბა" სწორედ ამ უკანასკნელის იქნებოდა. ასეც მოხდა - წერედიანს გოეთეს თარგმანი დაუფასდა.

2003 წელს, როდესაც "საბას" ისტორია ჯერ კიდევ იბადებოდა, მისი "ნათლია" ბიძინა მაყაშვილი კი ათი წლით ახალგაზრდა იყო, საუკეთესო მოთხრობების კრებულის ნომინაციის გამარჯვებული ბესო ხვედელიძე გახდა. მას შემდეგ ხვედელიძე რამდენჯერმე იყო ნომინირებული, თუმცა ამაოდ. შარშან გამოცემული კრებულ "წითელისთვის" კი წელს დააფასეს და საკმაოდ ძლიერ კონკურენტთა შორისაც გამოარჩიეს. მეოთხე "საბა" მიიღო ხვედელიძის თაობის მწერალმა ლაშა ბუღაძემ, ამჯერად პიესისთვის სახელწოდებით ნავიგატორი", ხოლო შარშანდელი დებიუტის ნომინანტი პაატა შამუგია ამჯერად წლის საუკეთესო პოეტური კრებულის ("დაუჯდომელი") ავტორად დაასახელეს.

...და ისევ აკა მორჩილაძე - მწერალი, რომელსაც "საბას" არსებობის განმავლობაში ყველაზე მეტი ჯილდო აქვს მიღებული, ამჯერადაც წლის საუკეთესო რომანის ავტორია. მის მიერ ლონდონში შექმნილი "ობოლე" ჟიურიმ ზაზა ბურჭულაძის "გასაბერ ანგელოზზე", ირაკლი სამსონაძის "ლეას-საათსა" და ზურაბ ქარუმიძის "მელია ტულეფია: Foxtrot-ზე" უკეთეს ნაწარმოებად მიიჩნია და ავტორს მორიგი "საბა" გადასცა.

აქვე გაგაცნობთ წლევანდელი "საბას" ჟიურის წევრებს: ბიძინა მაყაშვილი, ზურაბ კიკნაძე, თეონა დოლენჯაშვილი, გიგა ზედანია და ანდრო ბუაჩიძე.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

პოეტური კრებულის პრეზენტაცია, რომელიც გუშინ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა, იმით იყო უჩვეულო, რომ აუდიტორიას გერმანიაში გამოცემული ქართველი ავტორის წიგნთან მოუნია შეხვედრა. რასაკვირველია, სენსაციური არაფერია, მაგრამ ქართულ რეალობაში პოეზიისა და უცხოენოვანი გამოცემის წარმოდგენა ჩვეულებრივზე მეტად ჭირს.

ირმა შიოლაშვილის კრებული "ფერადი ფოთლების ხიდი" გასულ თვეს გამოსცა გამომცემლობა "პოპფერლაგმა" და იგი მესამე ტომია კავკასიური ლიტერატურის ბიბლიოთეკისა, რომელსაც ევროპელ ავტორთა გაერთიანება "კოგგეს" ხელმძღვანელი, მწერალი და ლიტერატურის მკვლევარი ული როთფუსი გამოსცემს. როგორც წიგნის რედაქტორი, ული როთფუსი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, "ეს ოცნებების წიგნია, შინაგანი ხატ-სურატებით, რომელსაც

მოგონებებთან, მონატრებასთან, გამოუთქმელ, მაგრამ არსებულ სურვილებთან აქვს მყარი კავშირი. ეს პოეზია გვაახლოვებს ქვეყნის კულტურასთან, რომელიც ნებას რთავს გარე სამყაროს, ზეგავლენა მოახდინოს მასზე, და ამავე დროს, გასცემს საკუთარსაც გარე სამყაროში. ირმა შიოლაშვილი საამისოდ პოულობს ულამაზეს, პოეტურ ხმას, რომელიც გვაჯადოებს და ამავდროულად აღგვიძრავს სურვილს, ჩავიძიროთ ამ უცხო ქვეყნის კულტურულ ტალღებში".

მინდა გითხრათ, რომ პოეზია არც გერმანიაშია მასობრივი ხელოვნების დარგი და გამომცემლებს კიდევ უფრო მეტად ეთანაღრებათ გული პოეტური კრებულების გამოცემაზე, ვიდრე საქართველოში. ამ ფონზე ირმა შიოლაშვილის გერმანულენოვანი კრებული, მართლაც რომ უჩვეულოდ ჟღერს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მიუხედავად გერმანიაში ცხოვრებისა, იგი კვლავ ქართულ ენაზე წერს და ქართული პოეტური სივრცისათვის ქართველ ავტორად რჩება.

კრებული "ფერადი ფოთლების ხიდი" 80-მდე ლექსს მოიცავს, რომლის თარგმანზეც ოთხმა გერმანელმა ავტორმა იმუშავა. როგორც ირმა შიოლაშვილმა აღნიშნა, ენის ცოდნა მას დაეხმარა იმაში, რომ თარგმანის თანაავტორი ყოფილიყო.

ირმა შიოლაშვილი: "გერმანელი პოეტის, ჰაიდე რიკეს რჩევით, რომელთან ერთადაც კრებულზე ვმუშაობდი, უარი ვთქვი რითმაზე, რათა სათქმელი ორიგინალთან ახლოს ყოფილიყო. ვფიქრობ, გონივრულია, რითმას შეელიო, ვიდრე ამის გამო მთავარი სათქმელი დაიკარგოს. თანამედროვე გერმანული პოეზია ნაკლებად გულისხმობს კონვენციურ ლექსს, ის ძირითადად, პატარ-პატარა ბწკარედებისაგან შედგება და შორს არის ნიაღვრად წამოსული ქაართული ემოციისაგან. მე ვესწრები ხოლმე ბონის მწერალთა კავშირის შეხვედრებს, სადაც ძველი თაობის მწერლები სინანულით აღნიშნავენ, რომ თანამედროვე პოეზიიდან რითმა გაქრა. თავად ისინი, კვლავაც კონვენციურ ლექსს წერენ და ამას ძალიან აფასებენ".

გერმანელ მთარგმნელებთან ერთად მუშაობის გამოცდილებამ ქართველ პოეტს დაანახვა, რამდენად შესაძლებელია ქართული პოეზიის გერმანულ ენაზე ამეტყველება, ისე რომ მაღალმხატვრული თარგმანი მივიღოთ. გერმანელი პოეტის ჰაიდე რიკეს, აგნეს გისბრეხტის, ირმა ბერშაიდ-ქიმერიძისა და თომას ბერშაიდის თარგმანებმა მოგვცა ის ნაყოფი, რასაც დღეს "ფერადი ფოთლების ხიდი ჰქვია". თუკი, საქართველოს უნდა, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარდგეს, მან უნდა წარადგინოს პოეზიაც, რადგან ეს ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი ნაწილია. რაც შეეხება ევროპელი მკითხველის ინტერესს, როგორც ირმა შიოლაშვილი აღნიშნავს, ქართული ლექსი მისტიური ხედვით გამოირჩევა, რომელიც წარსულთან, ფესვებთან აბრუნებს მკითხველს, რაც ევროპაში დაკარგულია და რომლის აღმოჩენაც ასე აღაფრთოვანებთ მათ. "მთავარია, საქართველო სწორი კუთხით წარმოვაჩინოთ და ამაში უკვე სახელმწიფოს დახმარებაა საჭირო,- ამბობს ირმა შიოლაშვილი. - ხშირად ცდილობენ, ქართული მწერლობა ევროპას ისე დაანახონ, როგორც მისი ნაწილი, მისი მსგავსი, რაც არასწორია. ამით მათში ინტერესს ვერ გავაღვიძებთ. ჩემი აზრით, როგორც საქართველო არის ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის, ასეთივე ხიდია მისი ლიტერატურაც. და ამ ხიდად უნდა ვაჩვენოთ ქართული პოეზიაც, მისი ხმამაღალი თემებით, ნიაღვარად წამოსული ენერგიით. მაშინ დაგვინახავს ევროპა, როგორც განსაკუთრებული კულტურის მქონე ქვეყანას, რაც რეალურად ვართ. დღეს უამრავი საინტერესო ავტორია ქართულ მწერლობაში".

მაინც რა აქვს შენარჩუნებული ქართულ ლექსს, რაც გერმანიამ დაკარგა? პრობლემა, რასაც ისინი ასახელებენ, წარსულსა და დღევანდელობას შორის კავშირის გაწყვეტაა. ხალხური პოეზია თუ სიმღერა, რითაც გაჯერებულია ჯერ კიდევ ქათული ყოფა, ევროპელთა ყოველდღიურობაში სანთლით საძებარია. პოეზია ცალკეული წრეებისათვის იწრება, თანამედროვე ევროპელმა მწერლებმა ვერ შეძლეს, პოეზია ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეების ცხოვრებიდან არ გამქრალიყო. ამ მხრივ ქართველები აშკარად სხვა რეალობაში დავფრინავთ და ვისურვოთ, რომ რაც შეიძება გვიან დავნარცხებულიყავით მიწაზე.

რაც შეეხება ირმა შიოლაშვილის გერმანულენოვან კრებულს, მისი პრეზენტაცია გერმანიაში სექტემბრისთვისაა დაგეგმილი ქალაქ მინდენში, სადაც "კოგგეს" ყოველწლიური შეკრება გაიამრთება. ვნახოთ, როგორ მიიღებს ევროპელი მკითხველი უცხო მიწიდან წასულ სათმელსა და მეტაფორებს.

ცუდი სტარტი

ალექსანდრე ასათიანი

დუდა სანაძემ 12 ქულა აიღო.

სლოვენიაში ვერ ავკრიფეთ. საქართველოს ნაკრები ოცწლამდელებში ფინალურ ეტაპზე გავიდა და სლოვენიაში სერიოზულ გუნდებთან მოხვდა. ჯგუფში ლატვია, თურქეთი და ესპანეთი გვყავს. რაღაც დონეზე, სამივე სერიოზული გუნდია. ესპანეთი ბოლო დროს ყველა ასაკში და სახეობაში არაეალურად აკეთებს საქმეს. ესპანეთამდე ლატვიური ტესტი იყო და ვერ გავქაჩეთ. ლატვიამ დავით უსტიაშვილის გუნდზე მშვიდი და კარგი კალათბურთი ითამაშა. ცუდი კალათბურთით კარგ გუნდთან მოგება რთულია.

ლატვიიდან (სტატისტიკით) მეოთხე ნომერი, იანის ტიმა აკეთებდა საქმეს სერიოზულად. ანუ, მშრალი სტატისტიკით, ეს ბიჭი ჯეკპოტებს ხსნიდა და დანარჩენები დანარჩენს ასწრებდნენ. სამწამიანში, პირველ ტაიმში უშანსოდ ვიყავით - 30:8. თავისთავად, ლატვიის. ტიმამ ორმაგი დუბლი აიღო. როგორ, აზრზე არ ვართ, ვიზუალურად რეი ჩარლზები ვიყავით, ვერ ვნახეთ ეს საინტერესო თამაში. და ტიმა.

დუდა სანაძე კარგი ბიჭია. პერსპექტივაში, ძირითად ნაკრებში უნდა გაქაჩოს და მოუმატებს. მერაბ ბოქოლიშვილიც აკეთებს საქმეს და ყველაზე გუნდურად ბექა ბურჯანაძე ასრულებს. ლატვიასთან რაღაც მომენტებში, სამივემ ჩაყარა, სამივემ შეუქმნა პრობლემები იმ, მეორე, სერიოზულ გუნდს. ჯამურად ვერ დავფარეთ ჰანდიკაპი და ცოტა უხერხულად მორჩა მთელი ეს ამბავი. მინუს 38 მართლა უხერხულია. ყველა მიზეზის და ამბის გათვალისწინებით უხერხულია.

თურქეთთან რთული იქნება. უფრო რთულია ესპანეთთან რესპექტაბელურად, მშვიდად თამაში. ესპანეთი სხვა ლიგაა. ტიმაც სხვა ლიგა იყო - 21 ქულა, 10 მოხსნა, 6 ჩაჭრა, 4 პასი, 8/8 ზუსტი საშალოდ, ერთიც სამიანი და დომინაცია. სტატისტიკით.

პირველი გარჩევა ვერ ავიღეთ და როგორც ამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი, დავით უსტიაშვილი ამბობს, მისი მიზანი ძირითადი ნაკრებისთვის კადრების მიცემაა. აზრი მშვენიერია. თამაშიც ოდნავ უკეთესი რომ წამოვიდეს, ცუდი არ იქნება. ისე, ყველაფერი გამოსწორებადია. საბოლოო ანგარიშის გარდა.

Under 20. ევროპის ჩემპიონატი. სლოვენია

C ჯგუფი

ლატვია-საქართველო 88:50 (21:11, 19:11, 22:13, 26:15)

ლატვია: ტიმა (21+10 მ+6 ჩ+4 პ).

საქართველო: **ბოქოლიშვილი** (15+3 მ+2 პ), **სანაძე** (12+5 მ+1 პ), **ბურჯანაძე** (11+7 მ), **ალხანაიძე** (4+8 მ), **ფხაკაძე** (3+4 მ+2 პ), **ლომინაშვილი** (2+1 მ),**ტეტელაშვილი** (2+1 მ), **თენიეშვილი** (1+6 მ).

ლონდონი 2012 - საფეხბურთო ტურნირის მთავარი ვარსკვლავები

პირველი გვერდიდან

მიკა რიჩარდსი (დიდი ბრიტანეთი)

როი ჰოჯსონმა "მანჩესტერ სიტის" მცველი ევრო 2012-ზე არ წაიყვანა, რაც ინგლისში დიდ უსამართლობად ჩათვალეს. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ინგლისის ნაკრებს ევრო 2012-ზე რიჩარდსთან ერთადაც არ ექნებოდა ტიტულის მოგების შანსი, ოლიმპიურ თამაშებზე კი ბრიტანელები მედლებს ელიან. "სიტის" მცველი ამაში გუნდს ნამდვილად დაეხმარება.

დენიელ სტარიჯი (დიდი ბრიტანეთი)

ის გასულ სეზონში "ჩელსის" საუკეთესო ბომბარდირი იყო და ბრიტანეთის ნაკრების მთავარი დამრტყმელი ძალაა. მისი მეწყვილე იქნება ვალიელი კრეიგ ბელამი, თუმცა, გოლების გატანის მთავარი ტვირთი სწორედ სტარიჯზე მოდის. ეროვნულ ნაკრებში თამაშის გამოცდილება სტარიჯს თითქმის არა აქვს, მაგრამ ასაკობრივ ნაკრებებში ბევრი უთამაშია.

ლუის სუარესი (ურუგვაი)

"სელესტეს" მთავარი ვარსკვლავი ლუის სუარესი სიამოვნებით დათანხმდა ოლიმპიურ ნაკრებში თამაშზე. ურუგვაის ნაკრების გულშემატკივრებს სჯერათ, რომ მათ საყვარელ გუნდს ოლიმპიური ოქროს მოგებაც შეუძლია. ურუგვაის ნაკრები უკვე ორჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი. ეს მოხდა 1924 და 1928 წლებში. ურუგვაის ნაკრების ფანებისგან განსხვავებით, სუარესის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრება არ გახარებიათ "ლივერპულის" ფანებს. ლუისი მერსისაიდელთა მესამე ფეხბურთელია, რომელიც ოლიმპიადის გამო პრემიერლიგის სტარტს გამოტოვებს.

ედისონ კავანი (ურუგვაი)

"ნაპოლის" ლიდერმა ჯერ კიდევ მაისში განაცხადა, რომ სიამოვნებით დაეხმარებოდა ნაკრებს ოლიმპიურ თამაშებზე. ნეაპოლური გუნდის მესვეურებს კარგად ესმით, თუ რას ნიშნავს სიტყვა "პატრიოტიზმი". ამიტომ კავანი უპრობლემოდ გაუშვეს ოლიმპიურ თამაშებზე. კავანისა და სუარესის დუეტი მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

ნეიმარი (ბრაზილია)

თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ფეხბურთელი ნაკრებში მიწვეული ვარსკვლავის სტატუსით არ ისარგებლებს. ნეიმარი ჯერ 23 წლისაც არ არის და მას ასაკიდან გამომდინარეც შეუძლია ოლიმპიურ ნაკრებში თამაში. იგივე ითქმის ნეიმარის თანაგუნდელ განსოზეც. ყოველი ოლიმპიადის წინ ამბობენ, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს ოლიმპიური თამაშები არასდროს მოუგიათ. ამჯერად მანო მენეზეშის გუნდს თითქოს ყველაფერი აქვს, რომ ტიტული მოიგოს. გუნდის მთავარი ვარსკვლავი კი, ცხადია, ნეიმარი იქნება.

ტიაგო სილვა (ბრაზილია)

აი, ტიაგო სილვა კი მოწვეული ვარსკვლავია და ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების დაცვის ხაზის გამაგრებას შეეცდება. "მილანის" მცველს ამაში დაეხმარება "რეალის" ვარსკვლავი მარსელო, რომელიც ასევე მოწვეული ვარსკვლავის სტატუსით ისარგებლებს.

ალეშანდრე პატუ (ბრაზილია)

ბრაზილიის ნაკრების შეტევის ხაზი მართლაც საოცარი იქნება: ნეიმარი, პატუ და ჰალკი. "მილანის" 22 წლის ფორვარდი ოლიმპაიურ ნაკრებში თამაშზე ოცნებობდა და ამას არც მალავდა. პატუს მიმდინარე სეზონი არ გამოუვიდა და ოლიმპიადა მისი შანსია.

ჰალკი (ბრაზილია)

"მას შეუძლია გუნდს დიდი დახმარება გაუწიოს. მისი გამოცდილება კი, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს მნიშვნელოვან მატჩებში", - ამბობს მანო მენეზეში ჰალკის თაობაზე. ტურნირის დასრულების შემდეგ 25 წლის ფორვარდი ლონდონში დარჩება და "ჩელსიში" გააგრძელებს კარიერას. ჯერჯერობით ტრანსფერი არ შემდგარა, თუმცა, როგორც ამბობენ, ყველაფერი გადაწყვეტილია. მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებია მოსაგვარებელი.

დავიდ დე ხეა (ესპანეთი)

დავიდ დე ხეასთვის ესპანეთის ნაკრებში მოხვედრა უახლოეს წლებში თითქმის წარმოუდგენელია. იკერ კასილასს "ფურია როხას" პირველი ნომერი დაჯავშნილი აქვს. ოლიმპიურ ნაკრებში თამაშს კი დე ხეას ვერავინ შეეცილება. "მანჩესტერ იუნაიტედის" პირველი ნომერი ტურნირის ყველაზე ვარსკვლავური მეკარე იქნება. გასულ სეზონში დე ხეა "მანჩესტერის" შემადგენლობაში მთლად სტაბილურად ვერ თამაშობდა, თუმცა, ოლიმპიურ თამაშებზე დავიდს, შესაძლოა, დიდი ჯაფა არც დაადგეს. თუ ესპანეთის ოლიმპიური ნაკრები ისევე ითამაშებს, როგორც ეროვნული, დე ხეა საერთოდ უსაქმოდ იქნება.

ხორდი ალბა (ესპანეთი)

ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა სიამოვნებით დათანხმდა ოლიმპიურ ნაკრებში თამაშზე. "ოლიმპიური ნაკრები ჩვენი მომავალია, ალბა კი მხოლოდ საქებარ სიტყვებს იმსახურებს, ლონდონში თამაშზე რომ დათანხმდა", - ამბობს "ფურია როხას" თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე.

ხუან მატა (ესპანეთი)

"ჩელსის" ნახევარმცველი და ადრიან ლოპესი 24 წლის არიან და ესპანეთის ნაკრებში ორივე მიწვეული ვარსკვლავია. ასე რომ, ესპანეთის ოლიმპიური ნაკრები ტურნირზე ყველაზე ახალგაზრდული იქნება. მატა სულ ახლახან გახდა ევროპის ჩემპიონი და, მართალია, ფინალში გოლიც გაიტანა, მაგრამ კონტინენტის პირველობაზე თითქმის არ უთამაშია. სამაგიეროდ ესპანეთის ოლიმპიურ ნაკრებში მატა საკვანძო ფიგურა იქნება. "საოცარი იქნება, თუ ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ოლიმპიურ თამაშებსაც მოვიგებ", - ამბობს ხუან მატა.

დუაიტ ჰოვარდი პროხოროვთან არ მიდის

"ბრუკლინი" დუაიტ ჰოვარდზე აღარ გავა. მიხაილ პროხოროვის გუნდმა ბრუქ ლოპესს ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და ამ დროში 61 მილიონ დოლარს ჩაურიცხავს. ლოპესი ცენტრია. ჰოვარდიც. თემა დახურულია. "ორლანდომ" დუაიტის გაცვლის ამბებზე სხვა გუნდებთან უნდა იჩალიჩოს. "ნეთსის" ვარიანტი დაიხურა.

ლოპესის დაკონტრაქტებამდე, "ნეთსის" ბოსები კიდევ ერთხელ გავიდნენ ჰოვარდზე და რაღაც დეტალები ვერ მოაგვარეს. უფრო "ორლანდოს" ამბები არ გვარდებოდა. დუაიტი პროხოროვისგან ყველა ვარიანტში ოთხწლიან კონტრაქტს მიიღებდა და რუსი ბიჭს 112 მილიონს დოლარს აძლევდა. დიდი კუში დიდი ბიჭისთვის.

ჰოვარდის წაყვანის სურვილი დარჩა "ლეიკერსს" და კალიფორნიელები "ორლანდოს" ენდრიუ ბაინუმს აძლევენ. წაიყვანეთ ბაინუმი, ჩაგირიცხავთ კიდევ 13 მილიონს და მისტერ ჰოვარდი ჩვენთან მოდის - წერია კობი ბრაიანტის მესიჯში. საინტერესო შეთავაზება. კიდევ ერთი ვარიანტი "პორტლენდია". აქ ერთი ცუდი ამბავია - პორტლენდში ჰოვარდს არ უნდა.

"ბრუკლინში" გადავიდა კიდევ ერთი კარგი ბიჭი - 37 წლის ჯერი სტექჰაუზი. საინტერესო, ერთჯერადი სვლაა. ჯერი შემდეგ სეზონში 1.3 მილიონს მიიღებს და ალბათ, შარშანდელი რეგულარულის სტატისტიკა არ უნდა გააუარესოს. 9.1 წუთში ჯერი 3.6 ქულას, 0.8 მოხსნას და 0.5 პასს ტოვებდა. სტექჰაუზი კარიერით - 16 227 (17.4) ქულა, 3 205 (პასი), 3 034 (3.3) მოხსნა, 958 ზუსტი სამიანი. სტექჰაუზმა მთელი ეს ამბები რეგულარულის 933 გარჩევაში მოასწრო.

ნიკოლა ბატუმი "მინესოტაში" მიდის

"მინესოტაში" საინტერესო ხალხი მიდის. შარშან "ვულვზმა" ესპანეური ჯეკპოტი მოხსნა, რიკი რუბიო გაიფორმა. ევროპული ექსპანსია გრძელდება - კევინ ლავთან და რიკისთან ნიკოლა ბატუმი მიდის. "პორტლენდის" ფორვარდმა პირადულზე ESPN-ის ჟურნალისტებთან იჭორავა.

ბატუმი: "პორტლენდში" კარგი სიტუაციაა. მეგობრები იქ დარჩენას მირჩევენ. უბრალოდ, ვგრძნობ, რომ ამ ეტაპზე ჩემთვის ეს არასასურველი ვარიანტია. "პორტლენდი" ვითარდება, კარგი მოთამაშები წამოვიდნენ. ლამარკუს ოლდრიჯი ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონა, ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. "მინესოტაში" გადასვლა ჩემთვის, "პორტლენდისთვის", ალბათ, "მინესოტასთვის" უკეთესი იქნება. "პორტლენდს" აქვს უფლება, "მინესოტას" შეთავაზებაზე კარგი კონტრაქტი მომცეს, მაგრამ ფინანსური თემა არ არის მთავარი. "მინესოტაში" გადასვლა მინდა."

"მინესოტაში" კევინ ლავი ორმაგი დუბლების კიბორგია და სეზონში 5 მილიონზე ნაკლებს იღებს. შემდეგი სეზონიდან ლავს ახალ კონტრაქტს გადაუშლიან. სამახსოვრო ავტოგრაფისთვის. იმ კონტრაქტში სადღაც 5 სეზონში, სადღაც 120 მილიონი ეწერება. ლავის სტატისტიკა - 26.0 ქულა, 13.3 მოხსნა, 2.0 პასი. კევინი კარიერით - 17.3 ქულა, 12.0 მოხსნა. ლავი რეალური ჰიტმენია. ადრე "მინესოტაში" კევინ გარნეტი იყო. დღეს პრობლემებს ლავი აგვარებს.

"მინესოტაში" ნიკოლა პეკოვიჩმა აკრიფა და შარშან მაგარი სეზონი დახურა. ერთი წლის წინ ნიკოლა 5.5 ქულას და 3.0 მოხსნას იღებდა. შარშან სტატისტიკა 13.9 ქულაზე ავიდა. 7.4 მოხსნასთან ერთად სერიოზული თემაა. პეკოვიჩიც 5 მილიონზე ნაკლებს იღებს.

"მინესოტაში" რჩება დარკო მილიჩიჩი. ცხრა წლის წინ მაღალი სერბი დრაფტზე ჯოკერი იყო. "დეტროიტმა" მილიჩიჩი მეორე ნომრად წამოიყვანა და დარკო ბენ უოლასთან, რაშიდ უოლასთან, ტაიშონ პრინსთან, ჩონსი ბილაფსთან, რიჩარდ ჰამილტონთან და ანტონიო მაკდაიესთან ერთად იგებს სუპერფინალს (4:1 "ლეიკერსთან"). მილიჩიჩი ბალასტია.

"მინესოტაში" დარბის კარგი ფორვარდი დერიკ უილიამსი. პირველ სეზონში 8.8 ქულა და 4.7 მოხსნა (21.3 წუთში) მოსულა, რესპექტაბელურია. უილიამსი ლავთან ერთად უფრო მეტს აიღებს და თუ "მინესოტა" უკომპლექსოდ ითამაშებს, უილიამსი გაიშლება, მეტს მოასწრებს.

"მინესოტაში" ნიკოლა ბატუმიც მივა და გუნდი შემდეგ დონეზე უნდა გავიდეს. ბატუმი მოქნილი, სოლიდური ტიპია. ფრანგი შარშან 13.9 ქულას, 4.6 მოხსნას, 1.4 პასს, 10. ჩაჭრას და 1.0 დაფარებას იღებდა. რუბიოსთან ერთად მეტს აიღებს. ბატუმი "მინესოტაში" უნდა წავიდეს.

"მინესოტა" დღეს , პატარები - ჯეი ჯეი ბარეა (შემდეგ სეზონში 4.3 მილიონი დოლარი აქვს გამოწერილი), **ჩეის ბადინგერი** (854 389 $), **უეინ ელინგტონი** (1 154 040 $), **მალკოლმ ლი** (პირველწლიანი), **ლიუკ რიდნური** (3 680 000), **რიკი რუბიო** (3 480 120), **მარტელ უებსტერი** (5 256 000); **ფორვარდები - მაიკლ ბისლი** (6 262 347), **რობი ჰამელი** (პირველწლიანი), **უეს ჯონსონი** (4 006 080), **კევინ ლავი** (4 609 701), **ენტონი რენდოლფი** (2 911 231), **ენტონი ტოლივერი** (2 050 000), **დერიკ უილიამსი** (4 602 720; **ცენტრები - დარკო მილიჩიჩი** (4 776 500), **ბრედ მილერი** (4 752 000), **ნიკოლა პეკოვიჩი** (4 503 600).

საინტერესო ბანდაა. ბატუმი თავის გუნდში მიდის.

ალექსანდრე ასათიანი

ალბანური მოთელვა "ვლაზენთან" დაპირისპირებამდე

პირველი გვერდიდან

ასე მოხდა 2004-05 წლების სეზონში, როცა თბილისის "დინამომ" პირველ შეხვედრაში 3:0 მოიგო, მაგრამ სტუმრად ალბანეთის "ტირანასთან": ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, 3 გოლი გაუშვა და პენალტების სერიაში შემდეგ ეტაპზე მეტოქე გაუშვა. ამიტომაც, გარკვეული სიფრთხილით მოველოდით ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს და ალბანეთის ვიცეჩემპიონების - "მეტალურგის" და "ტეუტას" დაპირისპირებას. თუმცა, პირველივე, ალბანურმა მატჩმა დაადასტურა, რომ ეს სიფრთხილე ზედმეტი იყო და რუსთავულმა კლუბმა ერთი კვირის წინ შეძლო შემდეგი ეტაპის საგზურის მიღება, როცა 3 უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს.

გიორგი ბუსკაძის ფოტო

განმეორებითი მატჩი მართლაც მხოლოდ უხვგოლიანი ფორმალობა გამოდგა, რომელშიც მეტალურგებმა ოფიციალურად გაიფორმეს შემდეგი ეტაპის საგზური. მატჩის შედეგის პროგნოზირება ძნელი არ იყო, თუმცა, საბოლოო ანგარიშის გამოცნობა საკმაოდ რთული და სასიამოვნოა, რომ "მეტალურგის" ფეხბურთელებმა მიხეილ მესხის არენაზე მოსულ ქომაგს გული არ დასწყვიტეს და გოლების ნამდვილი ფოიერვერკი გაუმართეს. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ფორმალური ხასიათის მიუხედავად, რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა, კობა ჟორჟიკაშვილმა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს დასვენების საშუალება არ მისცა და "მეტალურგმა" მეტოქეს მის ხელთ არსებული საუკეთესო ძალებით შეუტია.

საბოლოო ჯამში, რუსთაველებმა 6 გოლი გაუტანეს მეტოქეს, რომელთაგან ალბათ ყველაზე გამოსარჩევი პირველი ორი იყო. მე-14 და მე-18 წუთებზე ორი საუცხოო დარტყმა განახორციელა "მეტალურგის" ახალგაზრდა შემტევმა ნახევარმცველმა გიორგი თექთურმანიძემ და იშვიათი სილამაზის გოლები გაიტანა. ვფიქრობ, ამ დარტყმებზე ნებისმიერი მაღალი კლასის ევროპელი ფორვარდი მოაწერდა ხელს. თექთურმანიძის გარდა "დუბლით" გამოირჩა ტატანაშვილიც, ხოლო გეწაძემ და მიქაბერიძემ თითო გოლი გაიტანეს. ერთადერთი, რაც ალბანელებმა შეძლეს, რუსთაველთა მე-4 და მე-5 ბურთებს შორის "ჩაკვეხებული" პრესტიჟის გოლი იყო. საბოლოოდ, "მეტალურგმა" ალბანური მოთელვა ანგარიშით 6:1 დაასრულა და სერიოზული დაპირისპირებისთვის მზადების რეჟიმში გადავიდა. ზუსტად ერთ კვირაში, უეფას ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, რუსთავის "მეტალურგს" გაცილებით მაღალი კლასის მეტოქე ეყოლება - ჩეხეთის ვიცეჩემპიონი, პლზენის "ვიქტორია". ორრაუნდიანი დაპირისპირების პირველ მატჩს კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი სტუმრად, 19 ივლისს ჩაატარებს, განმეორებითი შეხვედრა თბილისში, მიხეილ მესხის არენაზე 26 ივლისს შედგება.

"ფლეიბოის"ოქროს ციებცხელება

ლონდონის ოლიმპიური თამაშების მიჯნაზე გერმანიის ოლიმპიური ნაკრების მოწინავე სპორტსმენები ლონდონის ოლიმპიურ სარბიელზე საგულშემატკივროდ დამატებით მიზეზს გვაძლევენ. დამატებით მიზეზი კი ჟურნალ "ფლეიბოის" ფოტო კამერების წინ თამამ ფოტოსესიაში მონაწილეობაა. ჟურნალის გვერდებს ამშვენებენ 18 წლის ტანმოვარჯიშე რეგინა სეგრეევა, მოცურავე ანჟელა მაურერი, ბალახის ჰოკეის მოთამაშე კრისტინა შიუტცე, წყალშიმხტომელი კრისტინ შტოიერი და ტყვიის მსროლელი ბეატე გაუსი.

ჟურნალის გარეკანს სათაურად აქვს წამძღვარებული "ხუთი ოქროს მიზეზი იმისთვის, რომ ზაფხული გავატაროთ ტელევიზორთან".

"ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სპორტსმენები გვაჩვენებენ თუ რას უნდა ველოდოთ მათგან ლონდონში... და კიდევ რამეს", - წერია ჟურნალში.

თუ მათი შედეგები ისეთივე შთამბეჭდავი იქნება როგორიც მათი ფოტოებია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სულ ცოტა ხუთი ოქროს მედალი უკვე ჯიბეში აქვს გერმანიას.

მნიშვნელოვანი შეჯიბრებების წინ თამამ ფოტოსესიებში მონაწილეობა გერმანელებისთვის კარგ ტრადიციად იქცა. ასე მაგალითად, ორი წლის წინათ 20 წლამდე ქალ ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე ასევე გაშიშვლდა "ფლეიბოისთვის" და მალე ჩემპიონობაც იზემა.



ქუთაისი მიგინეიშვილმა დაიცვა

მარატ ბიკმაევმა ქუთაისშიც გაიტანა და აკტობეშიც

შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ქუთაისის "ტორპედო" ევროსარბიელს დაუბრუნდა და ერთ დროს ქვეყნის საუკეთესო გუნდს და მის გულშემატკივარს, ცხადია, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალხვის დიდი იმედიც ჰქონდათ. მაგრამ, ალალად ვთქვათ, პირველი მატჩის შემდეგ, ამ იმედს "რიონის წყალი" შეუდგა. ქუთაისში ნათამაშები ფრე, რა თქმა უნდა, "აკტობეს" შანსებს ზრდიდა, მაგრამ საქმე ანგარიშში არ არის, ის თამაში, რაც გია გეგუჩაძის გუნდმა საკუთარ მოედანზე აჩვენა, საპასუხოს წინ გვაფიქრებინებდა, რომ "ტორპედო" ყაზახეთში, მეტი რომ არ ვთქვათ, დამარცხდებოდა.

დამარცხდა კიდეც, თან მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით, თუმცა ...

"ტორპედომ" ვერაფერი დაუპირისპირა ყაზახ მეტოქეს, მთელი შეხვედრის განმავლობაში მოედანზე მასპინძლები ბატონობდნენ და როდის ვნახავდით გოლს, დროის ამბავი იყო.

გოლი კი კარგა ხანს ვერ ვნახეთ, რადგან ერთადერთი ბარიერი, რაც "ტორპედომ" "აკტობეს" აღუმართა ქუთაისელთა მეკარე ომარ მიგინეიშვილი იყო.

მიგინეიშვილმა გუშინ პატარა სასწაული მოახდინა - აიღო "აუღებლები", შორი, საშუალო, ახლო მანძილებიდან; ნახტომებში, კარის ხაზზე, ხელით, ფეხით... მაგრამ 75-ე წუთზე "სასწაული" "აკტობეს" დღესასწაულად იქცა - მარატ ბიკმაევმა შორი დისტანციიდან მაინც მოახერხა მიგინეიშვილის გატეხვა. ეს ის ბიკმაევია, რომელმაც ქუთაისშიც გაიტანა და ყაზახებს შემდეგ ეტაპზე გაუკვალა გზა.

კი ბატონო, შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა და ქუთაისელებს, სულ მცირე, ანგარიშის გასათანაბრებლად და მატჩის დამატებით დროში გადასაყვანად, საკმაო დროც რჩებოდათ, მაგრამ რაც გოლამდე ვერ შეძლეს, ვერც გოლის მერე მოახერხეს.

"აკტობე" მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა ბურთს და თუ ბურთი ფეხთ არ მოიგდე, კარში როგორ უნდა გაიტანო?! სტატისტიკას რომ ჩავხედოთ, ვნახავთ, რომ ქუთაისელებმა მეტოქის კარში (და არა კარისკენ) ერთხელაც ვერ დაარტყეს.

იმის გახსენება, რომ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში, "აკტობეს" საჯარიმოში შეღწეულ ტორპედოელებს ერთადერთხელ მიეცათ სიდელნიკოვის კარში დარტყმის ხეირიანი შესაძლებლობა და ანგარიში გათანაბრების შანსი, ალბათ, არც ღირს. არ ღირს იმიტომ, რომ მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, ბურთი კარისკენაც არ წასულა და, გამარჯვებას და შემდეგ ეტაპზე გასვლას მასპინძლები იმსახურებდნენ.

გია გეგუჩაძეს რომ გუნდის შენება-შექმნა შეუძლია, ამაში სადავო არაფერია - ამ მართლაც ნიჭიერმა მწვრთნელმა ეს არაერთხელ დაამტკიცა, "ტორპედოც" ახლა შენების პროცესშია და ევროსარბიელზე ნაწვნევი მარცხი გეგუჩაძეს და მის გუნდს მეტ გამოცდილებას შეძენას. ქუთაისელი გულშემატკივარი კი საქართველოს ჩემპიონატში "ტორპედოსგან" კვლავ ევროსაგზურს მოითხოვს - რაც უნდა მწარე იყოს მარცხი, ევროპაში წარმოჩენა მით უფრო მიმზიდველია... თან გუნდის კარს მიგინეიშვილი რომ იცავს!

ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.

"აკტობე" (ყაზახეთი) - "ტორპედო" (ქუთაისი) 1:0 (ს.მ 1:1)
გოლი: 1:0 ბიკმაევი (75)